და ბოლოს, ასეთი ფონდების არსებობა და სიმრავლე, თუ ბაგონ ბადრი პაატარაკიშვილს სხვა ბიზნესმენებიც აუბამენ მხარს, ქვეყნის ეკონომიკურ-კულტურულ აღმშენებლობასა და სრულყოფილი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესებს დაჩქარებენ, რაც უდავოდ დიდი მამულიშვილური საქმე იქნება.

ზოთა მაჭარაშვილი.

სამხედრო პოსპიტალს ელექტროომოარაგება აღუდგა

ერთკვირიანი გათიშვის შემდეგ „ეი-ი-ეს თელასმა“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოსპიტალს სამინისტროს თხოვნის შემდეგ ელექტროენერგიის მიწოდება აღუდგინა.

პოსპიტალს ამერიკული კომპანიის მხოლოდ ბველი დგენერატორი აქვს, რომელიც მთლიანობაში 21 ათას დარს შეადგენს. რაც შეეხება წლევანდელ თანხებს, თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით,

ცენტრალურ ბიუჯეტს ელექტროენერგიის საფასური სრულად აქვს დაფარული. თუმცა გასული წლის დეკემბერში მოსმარეული ელექტროენერგიის საფასური მიმდინარე დავალიანებად ითვლება, რაც სახელმწიფო ბიუჯეტისთვის ბველი ვალია და გასუფთავებელი ვალების ნუსხაშია შეგანილი.

უშუალობის გამო სამხედრო პოსპიტალი ერთი კვირის განმავლობაში პარალიზებული იყო და მედპერსონალი საავადმყოფოში უმიმესი მდგომარეობით შესულ პაციენტებს უკან აბრუნებდა.

დაპატიჟეს ნარკოტიკების მოხმარების ბრალდებით

ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო მოხმარების ბრალდებით მსს-ს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის თანამშრომლებმა გუშინ „ახალი მემარჯვენეების“ გლდანი-ნაძალადევის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი დავით მაისურაძე დაბაკვეს.

თავად მაისურაძე მისი დაკავების ფაქტს უკანონოდ აფასებს და აცხადებს, რომ სამართალდამცველებმა მას დაკავების ოქმი არ წარუდგინეს. პარტიის ლიდერები კი მომხდარს მათთან პოლიტიკურ ანგარიშსწორებად აფასებენ.

მომხდართან დაკავშირებით მასალები პროკურატურას გადაეცა შესასწავლად.

სამხედროები ცუდად ფინანსდებიან

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაფინანსებაში 10 მილიონ ლარიანი გარღვევა დაფიქსირდა. ამის შესახებ „ინტერ-პრესს“ თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, საფინანსო განყოფილების უფროსმა ნუგზარ ქევზიშვილმა განუცხადა.

მისი თქმით, სამინისტროს სახელფასო თანხები, მათ შორის – „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის ფარგლებში მომზადებულ კონტრაქტორთა ხელფასები ჯერაც არ დაფინანსებულა, მაშინ, როცა კონგრატქის პირობების თანახმად, ისინი ხელფასს ყოველი თვის 20 რიცხვამდე უნდა იღებდნენ.

ბიუჯეტის გარღვევის შედეგად დაფინანსებული დარჩა მთელი რიგი პროგრამებიც, მათ შორის – კვების, საწვავისა და გრანსპორტის მომსახურების ხარჯები.

ქევზიშვილის განმარტებით, აღნიშნულის გამო თავდაცვის სამინისტრო იძულებულია, პროდუქტი და საწვავი ნისიად აიღოს.

სასამართლო არსებით განხილვას ხვალ დაიწყებს

თბილისის სტაციონარული სამედიცინო დაწესებულების რეგისტრაციისა და ლიცენზირებასთან დაკავშირებით საქართველოს „ლეგიტიმაციისა შრომის პარტიის“ სარჩელის არსებით განხილვას თბილისის საოლქო სასამართლო ხვალ დაიწყებს.

ინტერ-პრესმა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

პოზიცია

პირველი გვერდიდან

ტყიბულში ვაგონებით კი არა, ავგომანქანებით გასაგან ქვანახშირსაც ვეღარ იღებენ, ამიგომ საგვირთო გადაზიდვები კარგა ხანია, აღარ არსებობს. სახალხო მაგარბლის შემოსავალი ამ ხაზზე დანახარჯების ერთ პროცენტსაც ვერ ანაზღაურებს. მიუხედავად ამისა, რკინიგზას მგზავრობის ფასი არ გაუზრდია.

ნაღდი მამულიმვილური და ეროვნული მოღვაწეობის გარდა სხვა რა შეიძლება დაერქვას ბაგონი აკაკი ჩხაიძის ამ მოქმედებას? და ასეთ კაცს უნდა ვდევნიდეთ?

როდის და ვინ მოსთხოვს პასუხს ცილისმწამებლებს?

დროა, ყველამ ერთად ავიმაღლოთ ხმა საქვეყნო საქმის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ

ერთადერთი მძლავრი საწარმო ამკამად სს „მაორჰესია“. იგი რაიონის სამრეწველო პროდუქციის 70 პროცენტს იძლევა. სწორედ მასზეა დამოკიდებული რაიონის საბიუჯეტო შემოსავლები. უკანასკნელ პერიოდში, როცა ელექტროენერგიის ღირებულებას მოსახლეობა ვერ იხდის და სს „მაორჰესიც“ ეკონომიკურ კრიზისშია, ბაგონი აკაკი ჩხაიძე აღმოჩნდა პირველი გადახდისუნარიანი საწარმოს ხელმძღვანელი, რომელმაც თანხმობა განაცხადა სს „მაორჰესთან“ პირდაპირი ხელშეკრულების გაფორმებაზე. მაგრამ „რუსთავი-2“-ის მსგავს ხელის შემშლელთა წყალობით საქმე ბოლომდე ვეღარ მივიდა. ამის შედეგადაც სს „მაორჰესი“ გამოუვალ ეკონომიკურ კრიზისში აღმოჩნდა და უხელფასობის გამო საპროგესტაო გამოსვლებიც გახშირდა.

საყურადღებოა ისიც, რომ სს „მაორჰესი“ 50-იან წლებში ყოფილი სსრკ რკინიგზის სამინისტროს თანხებით აიგო. იგი დღესაც ემსახურება რკინიგზას, თუმცა ელექტროენერგიის ღირებულებას, ნაცვლად სს „მაორჰესისა“, ხელოვნურად შეკოწიწებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია ღებულობს. სს „მაორჰესის“ თანამშრომლები და კაცობულელები დღესაც მოითხოვენ, რომ ეს უნიკალური ჰესი ისევ რკინიგზის განკარგულებაში გადავიდეს, რითაც ერთხელ და სამუდამოდ გადწყდება ხელფასების გაცემისა და ტექნიკური უზრუნველყოფის მწვავე პრობლემები.

„რუსთავი-2“ ვისი რუპორიც არის, ყველამ იცის, და როცა 115-ლარიან მინიმალურ ხელფასზე ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირიან, რაგომ ერთხელ მაინც არ ახსენებდაო, რამდენია მინიმალური ხელფასი რკინიგზის სისტემაში? იქნებ დაასახელონ რომელიმე სხვა სახელმწიფო უწყება, რომელიც ხელფასებს ასე დაუგვანებენდა!

რაგომ არ ახსოვს „რუსთავი-2“-ს, რამდენი კაცი იყო დასაქმებული „ლოკომოტივის“ სტადიონის, სპორტ-მესტაფონის მეორე ხაზის მშენებლობაზე და ამ მშენებლობის გარდა რა ასულდგმულებს სარაგაულის რაიონს? რამდენი კაცი მუშაობდა ურეკის ახალი სადგურის თუ მესტაფონის სადგურის რეკონსტრუქციაზე, უამრავი სარკინიგზო ხიდებისა თუ რკინიგზის ინფრასტრუქტურის ობიექტებზე? ღვარძლის მთესველებს თუ თვითონ არ უმგზავრიათ ახლახან თბილისი-ბათუმის მაგარებლით, ნუთუ ახლობლისგან მაინც არა სმენიათ?

ავალო ცირეკიძე,
ქ. ტყიბულის დამოუკიდებელი ინსტიტუტის „ელვათის“ რექტორი, პროფესორი;

პავლე თოდაძე,
ქ. ტყიბულის საპატიო მოქალაქე;

ანდრო არსენიძე,
ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე;

ბუხუტი ორგონიკიძე,
სს „მაორჰესის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

მხარე

წიგნის ქურდიც და მარაგზის ყაჩაღიც ორივე დამნაშავეა

ცხონებულმა, მართლაც, წიგნის ქურდი თუ არა? – ამ საბოთორო კითხვაზე პოლიციელს ედიმება, ეკლესიის მსახური მხრებს იჩეჩავს. ქურდი? მისი აბრი რომ გაიგო, უნდა დაიბუბრო, მაგრამ როცა ქურდს ვერ იჭერ, ეს და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი სხვა საკითხები პასუხგაუცემელი რჩება.

გორში, ქალაქის ცენტრში, სტალინის მოედანზე, ღამით წიგნის მაღაზია „დილა“ გატეხეს. ასობით ლარის საქონელი წაიღეს. პოლიციამ ქურდების კვალს ვერ მიაგნო. რჩევით კი ურჩიეს მაღაზიის დირექტორს, რკინის გისოსები დაეყენეთ და თქვენც მოისვენებთ და ჩვენცო. მაგრამ პოლიციელების რჩევა საპინის ბუშტივით გასკდა, როგორც კი კვლავ ქალაქის ცენტრში, ერთობის ქუჩაზე ქურდებმა ახლა გისოსებიანი წიგნის მაღაზიაც გატეხეს და დიდძალი საქონელი გაიყოლეს ხელს. ქურდების კვალს ვერც ამჯერად მიაგნეს, რჩევა-დარიგება კი არ დაუკლიათ – ღამის ყარაული აიყვანეთ და ჩვენც მოვისვენებთ და თქვენცო.

წიგნის მაღაზიის იმიგომაც ჰქვია წიგნის მაღაზია, რომ ყარაულის აყვანის კი არა, ჩამგვრეული მინის გამოცვლის საშუალებაც არა აქვს. რესტორანი ან წითელი ნათურებით გაწყობილი ღამის კლუბი რომ იყოს, გაგიხარია, ერთს კი არა, ყარაულების მთელ ბაგალიონს აიყვანდნენ, მაგრამ რა ქნან, წიგნიერი ხალხია და კიდევაც უნდა გვეცოდებოდნენ.

რომ ეგონათ, წიგნების ამდენი პარვით ქურდები უკვე ცხონდნენ და ახლა მაინც შეგვეშვებიანო, სგალინის მოედანზე „დილის“ შემინული კარები კელავ გატეხეს, მაღაზიაში შეაღწიეს და საკანცელარიო ნივთები, ფოტოფირები, სპორტული ქალალდები, წიგნები (მეტწილად – ქართული მღაპრები) – წაიღეს. ქურდების კვალს, როგორც წესი, ვერ მიაგნეს. „ხუთი მძიმე, გაუხსნელი საქმე ნაჯახივით გვადევს კისერზე, თქვენი „ხუთკუნჭულასთვის“ არ გვცალიაო“, – თქვეს სამართალდამცავებმა.

და მართლაც, აპრილის ბოლო რიცხვებში გორი და გორის რაიონი ლაბორატორიულ ბაზრობას ეგებოდა. ეს ბაზრობა ბევრ ადგილას ტარდებოდა, ამიგომ ბევრ ადგილას ეკეთებოდა „დაიხუნძლა“. 23 აპრილს სოფელ ფხვენისში 28 წლის კოსტანგინე ომაძე მეზობელმა, ადრე ნასამართლევმა გურამ რაჯაბაშვილმა მოკლა – დანა გაუტარა გული. მიზეზი? – „შენი ძროხა, ჩემი ბაღის კიდეში რომ ძოვს, ვამლის ტოტებს მიმტვრევსო“.

28 აპრილს, აღდგომის მეორე დღეს, გორის ცენტრალური ბაზრის წინ, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ადრე ნასამართლევმა 29 წლის გორელმა მამუკა ბალიაშვილმა დანით სასიკვდილოდ დაჭრა თანაქალაქელი, 23 წლის თემურ თინიკაშვილი. იმავე დღეს, რესტორან „ეორმი“ ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს დიდებული სპორტსმენი და პიროვნება, წარსულში ცნობილი მოჭიდავე ენგურ გოგიჩაშვილი. 29 აპრილს, გორში, ავტომანქანის გაგაცების მცდელობისას ცეცხლსასროლი იარაღით მძიმედ დაჭრეს მამა-შვილი კონსტანტინე და გიგა კარიჭაშვილები. მამას ვერაფერი უშველეს, შვილი ექიმების ძალისხმევით სიკვდილს გამოსგაცეს.

დღემდე გაუსსნელია 30 მარგს სოფელ ქვემო არცევში (ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონა) მომხდარი გახმაურებული მკვლელობა. მამა-შვილი გურამ და მალვა საბამვილები ის-ის იყო რუსეთიდან დაბრუნდნენ, სადაც ბაზარზე გასაყიდად ვამლი ჰქონდათ წაღებული, რომ ოჯახს ექმოყვანა, რომელიც დაადასტურებდა ეჭვმიგანილის დაკავებას ყველა წესის დაცვით ან ბინის გაჩხრეკის კანონიერებას, აღარაფერს ვამბობთ სხვა, კიდევ უფრო რთულ, თუნდაც სიცოცხლისათვის სამიმ სიტუაციაზე, რომელშიც პოლიციელი ყოველ წუთს შეიძლება აღმოჩნდეს.

სამმართველოს განვლილი სამი თვის მუშაობის სტატისტიკასაც გადავხედე. დამამიდებელია. რეგისტრირებული დანაშაული მარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირებულია 48 ერთეულით. მათ მორის მძიმე დანაშაული (განზრახ მკვლელობა) 3 ერთეულით. წლეულს არ ყოფილა მკვლელობის მცდელობის არც ერთი ფაქტი (მარშან კი ხუთი ჰქონდათ). წლეულს განვლილ სამ თვეში ყაჩაღობის 13 შემთხვევაა აღრიცხული. აქედან უკვე გახსნილია 6. მარშან შესაბამის პერიოდში კი ყაჩაღობის 26 შემთხვევა მოხდა.

თქმა არ უნდა, იმედისმომცემი სტატისტიკაა, მაგრამ კიდევ საუკეთესო სტატისტიკა იქნება ის, როცა ქუჩაში გასულს არ შეგეშინდება, რომ ან ხელჩანთას წაგგლეჯენ, ან ვინმე მეურაცხყოფას მოგაყენებს, სახლში დაბრუნებულს კი სადარბაზოში რევოლვერმომარჯვებული ნიღბიანები არ დაგხვდებიან..

გურამ ფაშაკიძე,
„სრ“ საკ. კორ.

რედაქციისაგან: წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც გვაცნობეს, რომ პოლიციელებმა უკვე დაკავეს ორი ახალგაბრდა, რომლებიც ეჭვმიტანილი არიან წლეულს, 30 მარგს, სოფელ ქვემო არცევში საბამვილების ოჯახზე ბანდიტურ თავდასხმაში, რამაც მამა-შვილის გურამ და მალვა საბამვილების სიცოცხლე შეიწირა.

უკანასკნელი ზარი

ჩვენ საბანკო-საფინანსო ინსტიტუტიდან მოვდივართ

უცხო ენებს შესწავლას დიდი ყურადღება ექცევა თბილისის აკადემიკოს ვ. გ. ბანგლაძის სახელობის საბანკო-საფინანსო ინსტიტუტში. უცხო ენებს ფაკულტეტმა წლეულსაც არ დაარღვია გრადიცია და გუშინ სტუმრებს წარუდგინა კრებული, რომელშიც წარმოდგენილია სტუდენტების ნაშუშევრები თავისუფალ თემებზე. კრებულში ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე დაბეჭდილი ეს ნაწარმოებები მკითხველის ინტერესს აღძრავს.

წიგნის ავტორი და სულისჩამდგმელია ქალბატონი ნათელა ურუშაძე – ინგლისური ენის გამოცდილი სპეციალისტი.

პედაგოგებს და სტუმრებს მიესალმნენ და შემდგომი წარმატებები უსურვეს ინსტიტუტის რექტორმა ბონდო მარნაძემ, მოადგილემ მარინა ჭედევანიშვილმა.

აღსანიშნავია, რომ აქ საბანკო-საფინანსო სპეციალობების გარდა, ამმზადებენ უცხო ენებისა და კომპიუტერის სპეციალისტებს ეკონომიკური და იურიდიული პროფილით, რაშიც მათ დიდ დახმარებას უწევენ კვალიფიციური პედაგოგები და უახლესი ტექნიკით აღჭურვილი კბინეტ-ლაბორატორიები.

გუშინვე თბილისის საბანკო-საფინანსო ლიცეუმის (დირექტორი დავით მარნაძე) მოსწავლეებმა წარმოადგინეს მარჯორი და ოლივერ უორდროპების საქართველოში მოღვაწეობის ამსახველი კადრები (ხელმძღვანელი მარინა ბაღიმეული).

პირველკურსელები მეპირად კითხულობდნენ გაეპებს ინგლისურად ნათარგმნი რუსთაველის, ილიას შემოქმედებიდან, ხოლო ქართულად – ივანე მაჩაბლის მიერ თარგმნილ გენიალური შექსპირის სონეტებს.

სტუმრები კმაყოფილი გოვადნენ ინსტიტუტის დარბაზს, რადგან სანახაობამ სულ სხვა, სულიერების ამაღლებულ სამყაროს აზიარა ისინი.

ლია ძიელაძე.

სურათზე: წარმოდგენის დროს.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 141. კვირა, 1 ივნისი, 2003 წელი.

რუსთაველის პრემიის ახალი ლაურეატები

შემოქმედება იდუმალებასთანაა წილნაყარი. მის მომხიბლველ გარსში იმდენი თვალით უხილავი განძია გაბნეული, ზოგჯერ მთელი სიცოცხლე სჭირდება ხელოვანს ამ სიმდიდრის თუნდაც მცირედის მოსაპოვებლად, ან, სულაც, ამაოა ყოველგვარი მცდელობა. მხოლოდ დეფიცური ნიჭით მადლცხებულ შემოქმედს ძალუძს თვალი გაგაწვიდინოს მწვერვალების და საკუთარი ადგილი დაიმკვიდროს მიუკერძოებელ ისტორიაში.

თემურ ჩხეიძე სწორედ ის რეჟისორია, რომლის სპექტაკლებმა თეატრალური იერარქიის მაღალ საფეხურზე დაიდეს ბინა. თავისი შემოქმედებითი გზის დასაწყისშივე გამოაცილნა უმარმამარი პოტენციალი, განსხვავებული ხედვა და ამროვნება. რუსთაველის თეატრში განხორციელებულმა მალვა დადიანის „გუშინდელნმა“ ყველა ალაპარაკა. 70-იანი წლების საქართველოსთვის ეს სპექტაკლი სითამამითა და სიმძაფრით, ქვეტექსტების გამჭვირვალობითა და განმზოგადების ფართო მასშტაბით გამოირჩეოდა. აქ იყო ნოსტალგია წარსულის ღირსებისა, პროტესტი გაუსაძლისი ყოფისა. რუსეთის ძალმომრეობითი პოლიტიკის „პიანტური“ სცენების ტრაგი-ფარსულ კოლორიტში გადაწყვეტა, გამოკვეთილ იძულებით მონობაში მყოფ ქართველთა ამაყ ბუნებას, დაუმორჩილებლობის, თავისუფლებისაკენ სწრაფვის ქვეშეცნეულ ლტოლვას. დიდებულ დავით კლდიაშვილთან შეხვედრა რეჟისორის ახალი გამარჯვების საფუძველი გახდა. მეტად რთული ამოცანის დაძლევას თავლისწინებდა თითოეული ჩვენებინისთვის ესოდენ ახლობელი „სამანიშვილის დედინაცვალის“ პერსონაჟების სცენაზე გაცოცხლება. თემურ ჩხეიძემ რობერტ სტურუასთან ერთად მოძებნა საინტერესო, ორიგინალური ხერხი – მწერლის მუმეუმში იმპროვიზაციელად, მაყურებლის თვალწინ, დეკორაციებისა და კოსტიუმების გარეშე, მხოლოდ სახიერი დეტალების მინიშნებთ, ახალი სუნთქვა შეეძინეს გმირებმა და, რაც მთავარია, ხიდი სცენასა და მაყურებელს მორის იმდენად ორგანული იყო, რომ ბოლომდე გვჯეროდა მწერლისა და რეჟისორთა პარმონიული თანხმიერებისა.

ფსიქოლოგიური სიღრმე, განცდათა უნაპირო გადმოფრქვევა, გამჭრიახი და მგრძნობიარე რეჟისორული თვალით დანახული ქალთა წინააღმდეგობრივი მინაგანი სამყარო სპექტაკლში „ბერნარდა ალბას სახლი“, განგაშის მარეს არისხებდა არა მხოლოდ გარსია ლორკას კონკრეტული ეპოქალური მაგალითის მხილებით, თემურ ჩხეიძემ გაარღვია და გაგაფართოვა პიესის ჩარჩოები, მწერლის ჩანაფიქრს მასშტაბები შესძინა და პრობლეთი მოვლენაა თეატრის ისტორიაში. ამავე თეატრში სხვადასხვა დროს, მან შექმნა მრავალმხრივ საყურადღებო სპექტაკლები: იბსენის „მოჩვენებანი“, შექსპირის „ოტელო“, მილერის „ვერაგობა და სიყვარული“, ილიას „ასის წლის წინ“, ოგიბ ილოელიანის „აბდამიანი იბადება ერთხელ“, დოსტოევსკის „მარადი ქმარი“, რეშას „Art ხელოვნება“... და, ბოლოს, ჟან ანუის „ანგიგონე“ და „პილატე“ (მიხეილ ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტას“ მიხედვით).

„ანგიგონეში“ თემურ ჩხეიძე სახელმწიფოთა მორის სისასტიკესა და დაუნდობლობას წამოსწევს წინა პლანზე, რითიც დღევანდელობასთან ავლებს პარალელს. კრეონგისა და ანგიგონეს ურთიერთდაპირისპირებაში რეჟისორი იდეათა შესლა-შემოსლას ვირტუოზულად წარმართავს და ცხოვრებისეული გამოცდილების არმქონე ანგიგონეს (ნაგო მურვანიძე) მეამბოხე სულს კონკრასტული ფერით უპირისპირებს მბრუნველი, მოსიყვარულე კრეონგის (ოთარ მეღვინეთუხუცესი) იდეალური მმართველის შესაძლებლობის არარსებობას. თ. ჩხეიძის ინტერპრეტაციით კრეონგის პიროვნული ტრაგედიის სათავე იმაშია, რომ სწირავს მას, ვინც ყველაზე მეტად უყვარს.

„პილატე“ თემურ ჩხეიძის გაბრწყინებით განჯიული სულის მრავალმხრივი განცდების კონგლომერატია. სასახლის ვერანდა, სადაც მოქმედებაა გაშლილი, უკუნი ღამის ფონითაა შესულრული. აქ ბნელეთის სამეფოს დაუსადგურებია, სადაც მზის სხივი ოდნავადაც არ ბეჭდავს. საყოველთაო ურვადიდის პარმონია რეჟისორმა შეცისკენ აგყორცნილი ორი თეთრი სვეტით დაარღვია. ერთი მათგანი ჩვენს სიახლოვესაა. მეორე – მომორეთ. ამ ხერხით თ. ჩხეიძემ მაყურებელს არჩევანის საშუალება დაუტოვა. ოთარ მეღვინეთუხუცესის პილატე მხოლოდ მრისხანე პროკურატორი-ქეგემონი როდია, გულმოწყალეცაა, მგრძნობიარეც, ადამიანურ სიხუსტეთა მაგარებელი. რეჟისორმა პილატეს სულის უხილავ კუნჭულებში ჩაგვახედა, აგვაფორიაქა, დაგვაფიქრა და იეშუას (ზაზა იაკაშვილის) სახით კიდევ ერთხელ მიგვანიშნა, რომ ბოროგი ადამიანი არ არსებობს, ყველა კეთილია, ოღონდ მათ საკუთარ თავშიც და სხვებშიც უნდა აღმოაჩინონ იგი.

თემურ ჩხეიძემ მოთა რუსთაველის პრემია ამ ბოლო ორი ნაშუშვერის გამო მიიღო. მიმაჩნია, რომ სიმბოლურად ეს უმაღლესი ჯილდო მან მთელი თავისი შემოქმედების გათვალისწინებით დაიმსახურა.

განუმეორებელი ქართველი მსახიობის სესილია თაყაიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით თემურ ჩხეიძე წერდა: „ს. თაყაიშვილმა ჩვენ დაგვიგოა გამოცანა შემოქმედებითი საიდუმლოს გახსნისა. გამოცანა იმაა, თუ როგორ იყო, რომ სესილია თაყაიშვილი მუდამ თანამედროვე მსახიობი გახლდათ“.

იგივე სიტყვები ჩვენ შეგვიძლია გავიმეოროთ თემურ ჩხეიძის მიმართ. იგი მუდამ თანამედროვე რეჟისორია.

ვახტა ძიძიგური.



ჩხეიძეთა ნიჭის სიკასკასე

ბით გამოირჩეოდა. აქ იყო ნოსტალგია წარსულის ღირსებისა, პროტესტი გაუსაძლისი ყოფისა. რუსეთის ძალმომრეობითი პოლიტიკის „პიანტური“ სცენების ტრაგი-ფარსულ კოლორიტში გადაწყვეტა, გამოკვეთილ იძულებით მონობაში მყოფ ქართველთა ამაყ ბუნებას, დაუმორჩილებლობის, თავისუფლებისაკენ სწრაფვის ქვეშეცნეულ ლტოლვას. დიდებულ დავით კლდიაშვილთან შეხვედრა რეჟისორის ახალი გამარჯვების საფუძველი გახდა. მეტად რთული ამოცანის დაძლევას თავლისწინებდა თითოეული ჩვენებინისთვის ესოდენ ახლობელი „სამანიშვილის დედინაცვალის“ პერსონაჟების სცენაზე გაცოცხლება. თემურ ჩხეიძემ რობერტ

სცენა სპექტაკლიდან „ანგიგონე“. ანგიგონე - ნ. მურვანიძე, კრეონი – ო. მეღვინეთუხუცესი.

სტურუასთან ერთად მოძებნა საინტერესო, ორიგინალური ხერხი – მწერლის მუზეუმში იმპროვიზაციელად, მაყურებლის თვალწინ, დეკორაციებისა და კოსტიუმების გარეშე, მხოლოდ სახიერი დეტალების მინიშნებთ, ახალი სუნთქვა შეეძინეს გმირებმა და, რაც მთავარია, ხიდი სცენასა და მაყურებელს მორის იმდენად ორგანული იყო, რომ ბოლომდე გვჯეროდა მწერლისა და რეჟისორთა პარმონიული თანხმიერებისა.

ფსიქოლოგიური სიღრმე, განცდათა უნაპირო გადმოფრქვევა, გამჭრიახი და მგრძნობიარე რეჟისორული თვალით დანახული ქალთა წინააღმდეგობრივი მინაგანი სამყარო სპექტაკლში „ბერნარდა ალბას სახლი“, განგაშის მარეს არისხებდა არა მხოლოდ გარსია ლორკას კონკრეტული ეპოქალური მაგალითის მხილებით, თემურ ჩხეიძემ გაარღვია და გაგაფართოვა პიესის ჩარჩოები, მწერლის ჩანაფიქრს მასშტაბები შესძინა და პრობლეთა მიერე სცენიდან მაყურებლისთვის ნაჩუქარი დავეწყარი წუთები – ილია ჭავჭავაძის შემოქმედების უკვდავი ნიმუშების ამეტყველებენ... „ჩემო კალამო“, ასე ეწოდებოდა სპექტაკლს, სადაც მხატვრული კითხვის ოსტატები: გურამ საღარაძე, მინა კვერენჩხილაძე, გიორგი გეგეჭკორი, გიორგი ხარაბაძე და სხვები სულმნათი ილიას ნაწარმოებებს მამულიშვილური ღირსების განცდით კითხულობდნენ.

80-იანი წლებიდან თემურ ჩხეიძე მარჯანიშვილის თეატრს ხელმძღვანელობს. რთულია ახალ კოლექტივს უმტკივნეულოდ შეესისხლხორცო. განსხვავებული სტილისტიკა, ესთეტიკა, შესრულების მანერა წინაალმდეგობათა დაძლევის ერთგვარ წინაპირობას ქმნის. დასაწყისში რეჟისორი ამ სირთულის წინამე აღმოჩნდა, მაგრამ მუმაობის პროცესმა ილუზიები და ეჭვები გაფანტა. აქაც არ უღალატა თავის პრინციპს – არჩევანი ლეო ქიაჩელის „ჰაკი აბბას“ ინსცენირებაზე შეაჩერა. სპექტაკლმა გამიმარჯვა. კომპოზიციურად ლამაზი, აზრით გაჯერებული მიმანსცენები, მღელვარე პერიოდი, აფორიაქებული სულის ხაზგასმულად ჩვენება, ერთიან დინამიკაში მოქცეული ტემი-რიგმი დადგმას მოწოლითურობას ანიჭებდა. არა მხოლოდ თემურ ჩხეიძის, არამედ ქართული რეჟისურის მონაპოვრად მიმაჩნია მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების“ – როგორც საგლეკვიანი, ასევე მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე განხორციელებული სპექტაკლი. იგი ამ ტენიალური ნაწარმოების მსოფლმეგრძნების თითქმის გოლფარდი ღირებულების ქმნილებად გამოიერწა რეჟისორმა, რაც ესოდენ იმეორებადია.

ეკა ბარნაძე,
ბასმეფიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტის II კურსის სტუდენტი.

ეპიდემიის მკურნალი

ბაბუშვა ჯანმრთელობის დაცვის მძლავრი კერაა იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო, სადაც ყოველწლიურად 7000-ზე მწოლიარე და 12-13 ათასამდე ამბულატორიულ პაციენტს მკურნალობენ. საავადმყოფოში ხელმისაწვდომი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებაა.

ამ ფოტოზე ახალმობილთა განყოფილების ნეონატოლოგი, უმაღლესი კატეგორიის ექიმი თამილა ეოთგიძე თავის პაციენტ პაციენტთან, თვენახევრის პაატა ბუბუშვილთან ერთად არის აღბეჭდილი.

ქალბატონ თამილას უყვარს თავისი საქმე, თავისი ჩვილები. იგი 1972 წლიდან ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის სამსახურშია, ამ საავადმყოფოში კი გახსნის დღიდან მუშაობს. ნაავეთით ეკლები პაგარეს, მოძღვრავს მათ მშობლებს. ჩვილების განყოფილებაში მედპერსონალს წუთითაც არა აქვს მოცლა, პაწაწინა ბავშვებს ეხმარებიან ექიმები, ექთნები, ლაბორანტები, ექთანი ბაბა ბაბუაშვილი, ექიმ-ინტერნი ანა ბაბუაშვილი, ექიმ-ინტერნი ანა ბაბუაშვილი, ექიმ-ინტერნი ან

დამატება
ბავშვებისათვის №4
2003 წლის ივნისი.

ილა მუშვიდობისა

1 ივნისი ბავშვთა დაცვის დღე

წარსულში საჭვრეტად დატოვებული ღია სარკმელი

ყველანი რომ მართლა ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ, ამას ბევრი ლაპარაკი აღარ სჭირდება: იაპონელები ამტკიცებენ, რომ ერთი წლის ასაკიდან ბავშვის აღზრდაზე ზრუნვა დაგვიანებულია, ქართველებმა კი თქვეს, რომ ადამიანს მარტო წვრთნა ვერაფერს უზამს, თუ ბუნებამაც ხელი არ შეაშველა. მოკლედ, როგორადაც ბუნება გაგვაჩენს, ისეთებად ვიზრდებით, თუმცა ადამიანის ჩამოსაყალიბებლად მისი აღზრდისას შექმნილ სიტუაციაზეც ბევრი რამაა დამოკიდებული, მაგრამ დღეს პირველი ივნისია — ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, ამიტომ თეორიულ მსჯელობებს, ვინძლო, ის გვიჯობდეს, ცოტა ხნით დავშორდეთ ჩვენს მშფოთვარე რეალობას და დროის ჭუჭრუტანიდან წარსულისაკენ გავიხედოთ.

მოსაგონარი ადამიანს არ დაელევა და თუ კარგად დავუკვირდებით, ჩვენს მეხსიერებაში ადრეული ასაკისდროინდელ ისეთ მოგონებებსაც აღმოვაჩენთ, გაგვიკვირდება კიდეც. ამგვარი მოგონებების პროვოცირებას ხშირად რაღაცის გემო, სუნი და სიტუაციაც კი განაპირობებს. ამდენად, ფასდაუდებელია ფოტო, რომელიც ჩვენს წარსულში საჭვრეტად დატოვებული ღია სარკმელია, ან გნებავთ, კარია, რომელსაც შეავღებთ და საოცრებების მოწმენი გავხდებით: წუთით დაგვავიწყდება ყველა პრობლემა, საზრუნავი და მთელი არსებით იმ სამყაროში გადავალთ, როდესაც, მიუხედავად იმ დროს თავისთავად არსებული სირთულეებისა, ძალიან ბედნიერები ვიყავით. მაშინ მზე სხვანაირად ბრწყინავდა და სრულიად ჩვეულებრივ პურსაც კი სხვა გემო ჰქონდა, რადგან ჩვენი ფსიქიკა ჯერ კიდევ დაუღლელი გახლდათ და აღქმა — გაუცვეთელი.

XXI საუკუნეში, ალბათ, ძნელად მოიძოვება ადამიანი (თუკი დრომ ის ნამდვილი კატაკლიზმების გზით არ ატარა), რომ არ ჰქონდეს ბავშვობისდროინდელი ერთი ფოტო მაინც. მიუხედავად იმისა, რომ გასულ ასწლეულში ფოტოტექნიკა ელვის სისწრაფით განვითარდა, ალბათ, მაინც არიან ადამიანები, ვისაც ამა თუ იმ მძიმედმოსაგონარი ფაქტის გამო, წარსულისაკენ გასაჭვრეტი სარკმელი აღარ დაუტოვა ცხოვრებამ, მაგრამ მოდით, დღეს მძიმე საუბარს თავი ავგრიდოთ და იმ ბედნიერი ადამიანების ბავშვობისაკენ გავიხედოთ, ვისი სახელებიც ჩვენი საზოგადოებრიობისათვის დღეს სათუთია, სვალ კი უფრო სანუკვარი იქნება.

იმ დროს, როდესაც ეს წამი შეჩერდა, ალბათ, ძალიან ლამაზ ბუნებაში ფოტოობიექტივის წინ მოხდენილად მდგარი თეთრ სამოსში გამოწყობილი პაგარა გოგონა ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა, რომ სახელოვანი გაიზრდებოდა. თუმცა ძნელად აღმოსაჩენი ნამდვილად არ არის, რომ მის გამოხედვაში თავდაჯერება იკრძნობა, დგომის მანერაში — სიკეკლუცე, ჩაცმასა და ვარცხნილობაში კი — ამკარად ხაზგასმული ქალური მგრიხები. ეს თვისებები საკმარისია საიმისოდ, რომ თუ შესაფერისი სიტუაცია შეიქმნება,

ადამიანს არ გაუჭირდება საკუთარი შესაძლებლობების სახალხოდ დემონსტრირება — მღერა, ცეკვა, ლექსების თქმა, ხუმრობა... და არც გაუჭირდა, რადგან ეს მედპა ჩახაპაა, ყველა თაობის ქართველებისთვის უსაყვარესი მსახიობი. ნახეთ, შეიღებო და შვილიშვილებო, რა გოგოა პაგარა მედიკო — დარწმუნებული ვარ, თითოეული თქვენთაგანი მის გარეგნობაში საკუთარ შგრიხსაც აღმოაჩენს და გულწრფელად გაიხარებს, რადგან დიდი ბედნიერებაა ჰგავდე მედპა ჩახავას და იყო მისი შთამომავალი!

ეს კი ბაგონი **ომეშარ ჩხეიძეა** — ქალბაგონი მედპა ჩახავას და ბიჭიკო ჩხეიძის ღირსეული შვილი. მომავალი დიდი რეჟისორი და საუკეთესო პიროვნება, სიყვარულით შექმნილი ლამაზი ოჯახის უფროსი... იმ დროს, როდესაც ვიღაც ხელმაღლაინი

ამ ფოტოს იღებდა, გარშემომყოფთაგან ჯერ მართლა არავინ იცოდა, რა იქნებოდა მომავალში, რადგან მრავალმხრივ ნიჭიერი კაცი ასეთი პროგნოზების საშუალებას ნაკლებად იძლევა. ეს იმიგომ ხდება, რომ გარდგეხის ასაკში უნარიან ადამიანს, როგორც წესი, ნამდვილი ბრძოლა უწევს საკუთარ თავთან იმის გასარკვევად, რა არის მისი ნამდვილი საკეთებელი. დღეს კი, ბაგონი თემურისგან დამოუკიდებლად, ჩვენ მხოლოდ იმის ვარაუდი შეგვიძლია, რომ თქვენს წინაშე უკვე ხელოვნებას ნაბიარები მოზარდია, გემოვნებიანი და მომიერების გრძნობით დაჯილდოებული პიროვნება!

ამ ფოტოს გადაღების მომენტში არც პაგარა ნინი ჩიქვინიძეს შეეძლო სეოდნოდა, რომ ის გახდებოდა თემურ ჩხეიძის სიყვარულის ობიექტი და მისი ოჯახის დისახლისი. მიუხედავად ასაკის სიმცირისა, ეს ღამაზი, ბაგთიანი, მკვირცხლი და (როგორც სიყვარულით იტყვიან ხოლმე) მაგრაკვეცა გოგონა უკვე მთელი საქართველოს სიყვარულის ობიექტი იყო. ნანი ჩიქვინიძეს, თავისი უამრავი თანაგოლისგან განსხვავებით, ბედმა სწორედ მაშინ გაუღიმა, როდესაც კინოფილმში პირველ როლზე დაამტკიცეს. ამის გამოისობით, დღეს არა მხოლოდ ფოგოები, ამ ბედნიერი ადამიანის წარსულში გასახედად კინოკაბრებიც მრავლადაა, რაც ნანი ჩიქვინიძისათვის მართლა დიდი ბედნიერებაა. მას შეუძლია საკუთარ ბავშობაში კი არ შეიჭყიტოს, როგა მოუნდება, დაბრუნდეს და იქ იგრიალოს თავის ბავშვობისდროინდელ მეგობრებთან ერთად, რომელთა ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელიც აგერ, თქვენს თვალწინაა. ამ კაცს დღესაც მიხრ ბრმამეილად იცნობენ მიუხედავად იმისა, რომ მას როლანდი ჰქვია. მიხო კი მისი კინოგმირია, „მაგდანას ლურჯაზე“

მგზრუნველი, პაგარა სოფლელი ბიჭი. ვინც რა უნდა თქვას — პირადად მე ცრემლის გარეშე ვერასოდეს ვუყურებდი და ვერც ღღეს ვუყურებ ობოლი მიხოს გულწრფელ განცდას, როდესაც მას სახედარს ართმევენ... ეს, რა თქმა უნდა, სულაც არ არის როლანდის ბავშვობა, მაგრამ რაგომაც არა? პაგარა მსახიობმა ხომ ბრწყინვალედ შეძლო თავისი გმირის გკივილი საკუთარ სხეულში გაეგარებინა — სწორედ ამიგომაც შერრა ამ კაცს სახელი მიხო და სწორედ ამიგომაც დაუკავშირა ბორაშვილმა თავისი მომავალი კინოსამყაროს.

ძალიანაც რომ ვეცადოთ, ცოგა ხნით მაინც სიურპრიზად დავგოოთ ამბავი იმის შესახებ, ვინ არის ეს ახგაჯანა გოგონა, შეუძლებელია, რადგან კინოფილმი „მანანა“ რომ არ იცოდეს, ასეთი ქართველი არ არსებობს. ნანული სარაჯიმეილსაც უსახსოვრა თავისმა ბავშვობამ მეორე სახელი — ქალბაგონ ნანულის ღღესაც ხმირად უხმობენ მანანად, რადგან კინოგმირს პაგარა მსახიობმა საკუთარი ხასიათის მნიშვნელოვანი შგრიხები შესძინა. ახლა რომ ამგკიეცოს, ნანული სარაჯიმეილმა, დიდად მორცხვი და ნაზ-მაზი ბავშვი ვიყავიო, ვინმე დაუჯერებს?

ეს კი მაია ჩიბურდანიძეა — მსოფლიო ჭადრაკის სამყაროს ერთ-ერთი დიდი საოცრება, ეს ფოგო კი სწორედ მაშინ გადაუღია სიმონ კილაძეს, როდესაც მაია მხოლოდ ოსგაგობის კანდიდაგი გახლდათ. ხომ გაგახსენდათ, როგორი სასკოლო ფორმების ჩაცმა გვევალებოდა იმ დროს გოგოებს? კარგი ღღის შვილი იყავი და სკოლის კარს უფორმოდ შეაღებდი! სკოლამი კი არა, მოსწავლეს ყველგან ევალებოდა ეგარებინა ყავისფერი შალის კაბა, ზამთრობით შავი, ბაფთლოსნით კი თეთრი წინსაფრით. რაც შეეხება თეთრ საყელოს, ის ფორმის კაბისათვის ყველა სეზონზე აუცილებელი აგრიბუგი გახლდათ.

აბა, თუ გამოიცნობთ, ვინ არის ეს ველოსიპედზე აბხედრებული პაგარა ბიჭი, რომლის მიღმა რაჭის ულამაზესი სოფლის... ბუნება იმალება? ვინც ვერ გამოიცანით, ოლოლო თქვენ — ეს ჯუმბერ ლომინაძეა. კაცი, რომელიც ცაში ვარსკვლავებს, დედამიწაზე კი საარჩევნო ხმებს ითვლიდა დიდი გაგაცეებთ და კაცი, რომელსაც ამ თვლაში პირადად ნამდვილად არაფერი შემლია...



ახლა ვერ გეტყვით, რას ფიქრობდნენ ამ ფოგოების გადაღებისას ჩვენი ღღევანდელი გმირები, რადგან ეს მასალა პირველი ივნისისათვის მათთვისაც სიურპრიზია. მომავალში კი ჩვენი გაგეთი პერიოდულად შეეცდება ამ ახალ რუბრიკას სიცოცხლე გაუხანგრძლივოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენს მკითხველებს საშუალება ექნებათ რუბრიკის გმირებთან ერთადაც შეიჭვრიტონ სარკმელში, რომლიდანაც მათი ბავშვობა — საბოლოო ჯამში კი ყველა ჩვენგანის წარსული მოჩანს!

ელზა ჯმუხაძე.

თარგმანი

ალექსანდრე ფეტი

* * *

გეხალმები, მოყვარ გითხრა,
რომ მზე უკვე ამობრწყინდა,
და ნათელი სხივი ფიფქად
ხის ფოთლებზე აციმციმდა.

გითხრა, რომ ტყე გამოფხიზდა,
ეოყვარ ბუჩქი, ეოყვარ ყვირტი,
ეოყვარ ჩიტი შეფრთხიალდა,
ხავსზე გაზაფხულის ტკბობით.

გითხრა, რომ მეც ამაე გრძნობით,
როგორც გუშინ შენთან მოვედ
და კვლავ სული მხიარულ ბედის
და შენს მსახურად მტოვებს.

გითხრა, მატკბობს ხმარული
მონატრი ეოყვარ მზრიდან,
ჯერ არ ვიცი, თუმცა გულით
ვეხზავ სიმდერას, მე რომ მინდა.

თარგმანი
ზაქრო ძიტიაშვილის,
ილ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის I კურსის
სტუდენტი. 2002 წ.

გიორგი მეტრეველი

არ გეგონოთ ზარმაცი
დათვი მხნე და მამაცი!
ტყეში დაჭრა წნორები
და მოზიდა მორები!

გადახერხა ძელი
და მოვიდა მგელი...
უთხრა:
— ჩემო დათუნა,
შენზედ ცუდი სად თქმულა?
და მთელ ტყეში ყველას
მხოლოდ შენი სჯერა...

იცი, არ მაქვს ბინა,
დავწანწალეს ხშირად...
ლამის ჩამწყდეს ნეკნები,
გამიცივდნენ ლეკვები!..

განთქმული ხარ გონებით,
იქნებ მომცე მორები!..

— სხვა რა უნდა გარგო,
მოგცემ ჩემო კარგო!
და, ბავშვებო, იცით რა?!
თავის ზურგით მიზიდა
ხუთი მეტრის ტოლები,
მგლის ეზოში მორები!

მგელმა უთხრა:
— შენა ხან ნაღდი მეზობელიო,
შენგან, როგორც უფლისგან
სულ სიკეთეს ველიო!
სიამაყით გაბრუვდა
დათვი და შინ დაბრუნდა...

ხუთი მეტრის ტოლები
კვლავ მოზიდა მორები!
ჩანს ბევრი ურბენია
და მობრძანდა მელია;

უთხრა:
— ჩემო დათუნი
მთელ ტყეში ხარ განთქმული
მხეცებს ტყეში ყველას —
მხოლოდ შენი სჯერათ!

იცი არ მაქვს ბინა,
წუთიც კი არ მძინავს!
სულ გავსხიპე ეკლები
გამიცივდნენ ლეკვები!..
მწამს, სიკეთე შენია,
გენაცვალოს მელია!
განთქმული ხარ გონებით
იქნებ მომცე მორები?
— სხვა რა უნდა გარგო?!
მოგცემ, ჩემო კარგო!

და ბავშვებო, იცით რა?!
ზოგი ზურგით მიზიდა,
ზოგიც გორებ-გორებით
მელიასთან მორები!

მელიამ თქვა:
ვეყვირიო:
დათუნაა გმირიო!
ძირს დახარა თავი და
დათვი უკან წავიდა!

ხუთი მეტრის ტოლები
კვლავ მოზიდა მორები.
სამშენებლოდ სრულად
და... მოვიდა ტურა!
უთხრა:

კეთილი დათვი

— ჩემო დათუნა,
შენზე ცუდი სად თქმულა?!
და მთელ ტყეში ყველას
შენ სიკეთის სჯერა...
გკოცნი
ყელზე გეხვევი,
გადმირჩინე ლეკვები!..
იცი, არ მაქვს ბინა,
მოდის ზამთრის ყინვა!
— სხვა რა უნდა გარგო,
მორებს მოგცემ, კარგო!
და ბავშვებო, იცით რა?
თავის ზურგით მიზიდა
ხუთი მეტრის ტოლები
ტურიკოსთან მორები!
ტურამ უთხრა:
ვეყვირიო, —
— დათუნაა გმირიო!

კვლავ სიამით გაბრუვდა,
დათვი და შინ დაბრუნდა!
სავსემ ჭკუა-გონებით
კვლავ მოზიდა მორები,
სამოსახლოს ზვერავს
და... მოვიდა კვერნა!
უთხრა:
— ჩემო დათუნი
მთელ ტყეში ხარ განთქმული
და ტყის მხეცებს ყველას
ამ სიკეთის სჯერათ!

იცი არ მაქვს ბინა,
მოდის ზამთრის ყინვა!
კეთილი ხარ მუდამ,
დამეხმარო უნდა!

— სხვა რა უნდა გარგო, —
მორებს მოგცემ კარგო!

და... ბავშვებო, იცით რა!
თავის ზურგით მიზიდა

ხუთი მეტრის ტოლები
კვერნასათვის მორები!

— მეზობელი ასეთი,
არ მყოლია არც ერთი!

თქვა კვერნამ და დათვი
კმაყოფილი მადლით,
გამობრუნდა უკან
თან ცეკვავს და ბუქნავს!.

ღამით ტყეც და მოლიც
დაიფარა თოვლით
და გამეფდა ირგვლივ
ქარბუქი და ყინვა..
მგელს,
მელიას,
ტურას,
კვერნას —
ჰქონდათ ბინა!
უბინაოდ დარჩა
დათუნაა მხოლოდ!
ბევრი ფიქრის შემდეგ
გადაწყვიტა ბოლოს:
მოეძებნა თავის
ძველის ძველი სორო.
და კეთილი დათვი
ახლაც იქა ცხოვრობს!

ვალერიან მამუკელაშვილი

გამოცდა

ეუბოსლავიამი ტურისტული მოგზაურობისას კრაგუევაცში გვაჩვენეს გერმანელი ფაშისტების მიერ 1941 წლის 22 ოქტომბერს დახვრეტილ მეხუთეკლასელთა საფლავი. გიმნაზიის დირექტორის მილოე პავლოვიჩისათვის პიგლერელებს უთქვამთ, გამოსულიყო დასახვრეტად ჩამწკრივებულ ბავშვთა რიგიდან. — არ შემიძლია, გამოცდაზე ვარ! — ყოფილა მისი პასუხი.

მიდიან მინდორზე, წინ რომ ბურთს ისროდნენ,
სადაც თამაში და მეჯიბრი იცოდნენ,
სადაც გადარბოდნენ ჯოხების ცხენებით,
ხტომით და ყიჟინით, თელვით და ჭენებით.
სადაც თვით სიხარულს არ ჰქონდა საზღვარი,
ჰატარა ბიჭების ყიჟინით ამტყდარი,
დღეს მწუხრის დდესავით ჩამდგარა დუმილი,
მტარვალთან საბრძოლო მეტევის სურვილით.
მოდიან, მოჰყვებათ, ვით გუშინ სკოლაში,
ის ვინც გზას უკვლევდათ ცხოვრების წვდომაში,
ვინც ფრთებს უსწორებდა მათ ფიჭრს და ოცნებას,
გმირობის, სიმართლის, სიკეთის მოძღვრებას.
დღეს მოდის მდუმარედ, შეჰყურებს ჯალათებს.
და რისხვას მტრის მიმართ აკვესებს, ანათებს,
— სად მივალთ, ჭუჩისთვის აქ უნდა მოგვევლო,
სასლს ბავცდით, შორს დარჩა გზა, მასწავლებელო!—
— ბავშვებო, იყუჩეთ, მომყევით, მომყევით!
ჩვენ უკვე გამოცდის სასდვართან მოვედით!.. —
და დადგნენ ისე, ვით ქარიმსლის წინაშე
ბედები ღრუბლიან ქარში და ჭვიმაში,
დგანან და ელიან ფაშისტთა ბრძანებას,
და თვალწინ ფარფატებს ფიჭრი და ზმანება...
ჩამწკრივდნენ და როგორც ცეკვის დროს იცოდნენ
ხელი ხელს ჩაჰკიდეს და ფიჭრით მიჰჭრიდნენ
იქ, სადაც სკოლა და ლამაზი მერხია,
სადაც ყვავილია და სადაც ვერხვია,
სადაც თოლიები დაჰჭრიან ნაპირთან,
სადაც ჭადოქარი სასწაულს დაჰპირდათ.
დგანან და ბვერდში ჰყავთ ერთგული მხლებელი,
აქ არის, ამაყად დგას მასწავლებელი.
აქ არის და ფიჭრიც ისევ აქ ფარფატებს,
მაგრამ ის ოცნება, ნეტავ, რად ბარბაცებს.
და როგორც ყვავილზე ნამგალი დახრილი,
გაისმა მინდორში ჭალათის ძახილი:
– შენ ეი, გამოდი, გამოდი რიგიდან,
თუ არ გსურთ დამოყვრდე აქ მწარე სიკვდილთანს.. —

— არა, ბაკეთილი დავიწყე ეს არის,
გამოცდას ვიტარებ, ბავშვები შევძარი...
უეცრად დაიძრა ტყვიათა ლამჭარი,
ჰატარა ბულებზე მეხივით დამტყდარი.
გათავდა... დაეცნენ... ბიჭები... ბიჭები...
ატირდნენ მათ უკან დაჭრილი ფიჭვები...
ტირიან და ქარმაც ტირილით გამოსცრა:
— გამოცდა! გამოცდა! გამოცდა! გამოცდა!..
...და დღეს, თუმც მრავალი წელია გასული,
არ დადუმებულა ის მწარე წარსული,
ისმის და, მჭუხარებს ხმა მღაღადებელი,
ბავშვებს მოუხმობსო იქ მასწავლებელი.
გულთან წიგნს იხუტებს, ტყვიებით დაფლეთილს,
ლამ-ლამე ბავშვებთან ატარებს გაკვეთილს,
ხან გაუჭავრდება და ხანაც დალოცავს,
მერე კი ისევე იბარებს გამოცდას.
მიტომაც გახსოვდეს, სიცოცხლის მანძილზე
გამოცდა ბოლოში, გამოცდა ნაპირზე,
გახსოვდეს, მოვა დრო სიცოცხლის ჯალოსთან,
გახსოვდეს ცხოვრება მოგიწყობს გამოცდას,
და ისე იბრძოლე და ისე იდექი,
რომ სიკვდილს აჯობო სიმხნევით, სიკეთით,
გახსოვდეს, გახსოვდეს, სიცოცხლის წყაროსთან:
გამოცდა! გამოცდა! გამოცდა! გამოცდა!..

ციალა ბრეგვაძე

ჯეფარი

ობოლი ვარ, ობლად ამოვიზარდე, შორს, შორს გრიალ მინდორზე. გვერდით არავინა მყავს მანუგეშებელი — დამლაპარაკებელი. რა ძნელი ყოფილა ობლობა. სულ მარგო ვარ, ცისა და მიწის ანაბარად. არვის შეგკივა ჩემთვის გული, არვინ მიყურებს თბილი, ალერსიანი თვალებით, მხოლოდ მზე მათბობს, მაგრამ გულამდე ვერ აღწევს, გულს ვერ მითბობს.

ო! რამდენი სითბო მოაქვს მზეს, მის სითბოზე გაღვივდა იადა აყვავილდა, აბიბინდა მწვანე ბალახი, მეც მისით მიდგას სული, მაგრამ მარგო ვარ, გული მიგირის, მიკვნესის — ესე რომ მათბობდეს ვინმე, როგორც მზე — მაშინ, ვინ იცის, რა ვიქნებოდი — ალბათ მძლეთა მძლე ამ ქვეყანაზე — მაშინ გამიქარვდებოდა სევდა, მაშინ რაც არ უნდა გამჭირვებოდა, რაც არ უნდა ტანჯვა მენახა, ერთხელაც არ დავიკვნესებდი. სულ ნატვრაში ვარ, ვინმე რომ თბილ ხელს მიწვდიდეს, თბილი სიტყვებით მეჩურჩულებოდეს.

ნეტავ ვინმე გამოჩნდებოდეს, ამ შორეულ გრიალ ადგილზე, რომ მომეფეროს, მომიალერსოს.

რა ფუზზე გავჩნდი — რაღა მე გავჩნდი ობოლი?! მიქრიან წლები და დრონი იცვლებიან, ქრის ქარიც და ხან მრისხანებით გადამიქროლებს თავზე, ისეთი მრისხანებით, რომ თავს მიწას ვახლი, ხანაც ისე ოდნავ დამბერავს, რომ სიცხიან გულს, მიგრილებს და მიამებს.

ვფიქრობ, რაგომ გავჩნდი ასეთი ობოლი?! — ბედისწერაა?! გარშემო ერთი ხეც არ დგას, სიცარიელეა გარშემო.

ერთი ხე მაინც იდგეს ჩემს ახლოს — ქარისაგან დამიფარავდა. დრო კი მიდის. აბა, დროს რა შეაჩერებს, მე ვდგევარ მხოლოდ უცვლელად, — აქეთ ადამიანი არ დადის — რომ ვინმე გამოჩენილიყო, — ვინ იცის, როგორ მომიალერსებდა, მომეფერებოდა — ასე ობლად რომ მნახავდა, ვინ იცის, როგორ ჩამიკრავდა გულში, რა სათნოებით, გარშემო მიწას მომიბარავდა და ფესვებს უფრო გავიმაგრებდი — ვდგევარ უცვლელად და ვარ მოლოდინში, ველი ვიღაცას, რაღაც დიდს. ამ მოლოდინით ვიცხლობ — იქნებ ჩემთვისაც გათენდეს — როდემდე უნდა ვიდგე ასე?!.

თამაზ გორგაძე

ჰატარა და დიდი გაუსი

მათემატიკის ისტორიამ ცოტა როდი იცის არაჩვეულებრივი მათემატიკური გალანგის ადრეული „აფეთქების“ შემთხვევა. საკმარისია ვახსენოთ შვეიცარიელი ლეონარდ ეილერი, გერმანელი კარლ გაუსი, ნორვეგიელი ნილს აბელი, ფრანგი ევარისტ გალუა...

უდიდესმა გერმანელმა მათემატიკოსმა კარლ ფრიდრიხ გაუსმა ლამის „აკვანშივე“ გამოიჩინა თავი (დიდი რომ გაიზარდა, აკი ხუმრობდა კიდეც — ლაპარაკზე ადრე თელა და ანგარიში ვისწავლეო). მის საარაკოდ ნაადრევ გონებრივ განვითარებაზე ლეგენდებია შემორჩენილი. მაგალითად, სამი თუ ოთხი წლისა, მოიკარებებთან მამამისის კამათს მიყურადებული, ჩაერია, მშობელი ფინანსურ შეცდომაში დაარწმუნა და სახგადაც დასტოვა.

სკოლაში შესვლამდე პაგარა კარლი ისე გაიწაფა თვლაში, რომ გაანგარიშებებს დაუჯერებელი სისწრაფითა და სიმუსგით ასრულებდა და მარგო დედ-მამას კი არა, ყველას ანცვიფრებდა.

7 წლის გაუსი სკოლაში მიაბარეს. ერთხელ მასწავლებელმა დავალება მისცა მოსწავლეებს — ერთიდან ასამდე ყველა მთელი რიცხვის ჯამი იპოვეთო. 5050 იქნებაო, სულ მცირე ხანში უპასუხა კარლმა და გაკვირვებულ პედაგოგს იქვე აუხსნა, თუ როგორ შეკრიბა ამდენი რიცხვი ასე სწრაფად (აღნიშნულ მწკრივში „სიმეგრიული“ რიცხვების — 1 და 100, 2 და 99, 3 და 98, ასე შემდეგ, ბოლოს, 50 — და 51 — ჯამი ერთი და იგივეა, სახელდობრ, 101. ასეთი წყვილი სულ იქნება 50, 101-ის 50-ზე გამრავლება კი ბავშვისთვისაც, მით უფრო, გაუსისთანა ბავშვისთვის ძნელი აღარ არის...

ჭაბუკის მათემატიკური განვითარება გიგანტური ნაბიჯებით განვითარდა და 19 წლისამ ისეთი პრობლემა გადაწყვიტა (ეს მოხდა 1796-ში), რომელსაც მანამდე 20 საუკუნის განმავლობაში ვერავინ ვერაფერი მოუხერხა (რასაკვირველია, იგულისხმება ძველი წელთაღრიცხვაც). აქ ლაპარაკია მხოლოდ ფარგლისა და სახაზავის საშუალებით წესიერი ჩვიდმეტკუთხედის აგების შესაძლებლობის დამტკიცებაზე.

1799 წელს მშობლიურ ქალაქ ბრაუნშვაიგში დაბრუნებულმა გაუსმა ჰელმშტადტის უნივერსიტეტს წარუდგინა ეგრეთ წოდებული ალგებრის ძირითადი თეორემისადმი მიძღვნილი დისერტაცია და 22 წლისამ დოქტორის ხარისხი მოიპოვა.

შემდგომაც, „დიდმა“ გაუსმა მრავალი შესანიშნავი აღმოჩენით გაამდიდრა არა მარგო მათემატიკა, არამედ სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიც: ფიზიკა, მექანიკა, ასტრონომია, გეოდეზია. ვინც ჩვენს ნორჩ მკითხველთაგან მომავალ პროფესიად ხსენებულ დარგებს აირჩევს, არა ერთხელ და ორჯერ შეხვდება მის სახელს.

„მათემატიკოსთა მეფე“ — ეს სახელი გაუსს სიცოცხლემივე შეერქვა...

უძღვება მოთა ხოდამნელი, მხატვარი სიმონ ჭიორელი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 141. კვირა, 1 ივნისი, 2003 წელი.

სულ მაღლა, მაღლა და ზევით!

გენეტიკის საიდუმლოების კიდევ ერთი გასაღები

საქართველოდ ცნობილია ქართული მათემატიკური, ფიზიოლოგიური, ფილოსოფიური და სხვა სკოლები, რომლებმაც სახელი გაუთქვეს, ღირსება შემაგეს ქართულ მეცნიერებას, რაც გამოიხადა 7 ოფიციალურ აღმოჩენაში.

ეს ყველაფერი კი იმიგომ მოგახსენეთ, რომ ერთი ქართველი მეცნიერი წარმოგიდგინოთ, რომლის სამეცნიერო-კვლევითი შუმაობის შედეგებს რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ჩრდილო-დასავლეთის განყოფილების სანკგ-პეტერბურგის ბიორეგულაციისა და გერონტოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ (სადაც ის პერსონალური მეცნიერული მოხსენებით იყო მიწვეული და, რომელსაც ესწრებოდნენ 20 უმაღლესი სასწავლებლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა დარგის წამყვანი მეცნიერები) ერთხმად წარადგინა როგორც აღმოჩენა და მონოგრაფიის სახით გამოსაცემად რეკომენდაცია მისცა.

პროფესორი თეიმურაზ ლეკავა, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენეტიკის კათედრის გამგე, მრავალი მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს ავტორი, ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს თავმჯდომარე, ბიოსამედიცინო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი და რამდენიმე უცხოურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი და საერთაშორისო და ამერიკის ბიოგერონტოლოგიური ასოციაციის წევრია. აღსანიშნავია, ისიც, რომ 1962 წელს სახელგანთქმულმა რუსმა მეცნიერმა, რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ალექსანდრა პროკოფიევა-ბულგოვსკაიამ, იმსანად აკრძალული გენეტიკური კვლევების მიუხედავად, მოსკოვის მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტში გენეტიკური ლაბორატორიის შექმნა შეძლო. მან სხვადასხვა რესპუბლიკიდან შემოიკრიბა პერსპექტიული ახალგაზრდები. მათ მორის იყო ბაგონი თეიმურაზ ლეკავაც, რომელიც ამჟამად აღიარებული, როგორც დაბერების გენეტიკის სამეცნიერო სკოლისა და საერთაშორისო სიმპოზიუმის „დაბერების ციტოგენეტიკის“ დამფუძნებელი (ოთხი სიმპოზიუმიდან ერთ-ერთი იაპონიაში გაიმართა).

პროფესორ თეიმურაზ ლეკავას შრომები ადამიანის დაბერების გენეტიკის თეორიის შესახებ, გამოქვეყნდა ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიისა და ევროპის ქვეყნების წამყვან სამეცნიერო ჟურნალებში. მისი კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ადამიანის დაბერებისას მის ორგანიზმში ხორციელდება ქრომოსომათა (მემკვიდრეობითობის სტრუქტურების) მოდიფიკაციები – ცვალებადობა (ჰეტეროქრომატინიზაცია), რომელიც იწვევს გარკვეულ გენთა (მემკვიდრეობითობის ერთეულევგენი, ვილონი, პროსტომაქსი და კართოგენი), რომლებსაც აქვთ სიცოცხლის გახანგრძლივების იმუნური სისტემის გააქტიურების, რეპარაციულ-აღდგენითი თვისებები და სხვადასხვა დაავადების საკურნალოდ გამოიყენება. აღნიშნული პრეპარატების კლინიკური შედეგების შესახებ რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში გამოცემულია რამდენიმე მონოგრაფია. ჩვენი თანამშრომლობის მიზანი იყო შეგვეწავლა ამ სამკურნალო პრეპარატების მოქმედების მექანიზმი.

ორი წლის კვლევის მედეგად დავადგინეთ, რომ აღნიშნული პეპტიდური შენაერთები ხსნიან ადამიანის დაბერების პროცესში არსებულ „ჩაკეტილ ქრომოსომულ რაიონებს“ და ათავისუფლებენ ინაქტივირებულ – დათრგუნულ გენებს მათი მოქმედების გასააქტიურებლად, რაც ჯანმრთელობის ძირითადი საფუძველია. ცნობილია, რომ ენი ვერ ამოქმედდება, თუ მას ქრომოსომა ამის საშუალებას არ მისცემს.

– ესე იგი, შემოთ აღნიშნულმა პრეპარატებმა – „აბიეულს“ დაბერებულ ორგანიზმში არსებული ქრომოსომები, რომ გაეთავისუფლებინათ „დამონებულ-დათრგუნული“ გენები?

– დიახ, ეს გახლავთ პირველი დიდმნიშვნელოვანი ნიასხეკ, რომელიც მიღწეულია აღნიშნული ბიორეგულაციისა და ბიოლოგიური ქრომოსომის „ჩაკეტილი უნენების“ გახსნის შედეგად.

ამ მონაცემების ჯეროვანი შეფასება ჩვენი უნივერსიტეტის გენეტიკის კათედრის მეცნიერთა კიდევ ერთი აღიარების დასტურია, რასაც წინ უძღოდა საერთო სამეცნიერო პუბლიკაციები რუსეთსა და საზღვარგარეთ.

მისასალმებელია, რომ ეს წარმატება დაემთხვა სანკგ-პეტერბურგის 300 წლისთავს, ქალაქისას, რომლის განათლებისა და კულტურის კერებში მრავალი თვალსაჩინო ქართველი მოღვაწე აღიზარდა. და ახლაც, იქ ათასობით ქართველი ცხოვრობს და მოღვაწეობს.

ამ ურთიერთობის ნათელი გამოსახულებაა სანკგ-პეტერბურგიდან ამ დღეებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს რონინ შეგრეველის სახელზე მოსული შეტყობინება, რომელსაც ხელს აწერს პროფესორი ვლადიმერ სავინსონი. მასში ქართველი მეცნიერის წარმატების ფიქტთან ერთად აღნიშნულია: – „ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული შეგობრული ურთიერთობა, ვიმედოვნებთ, კვლავაც განუწყვეტლივ შემკვიდრეობით გადაეცემა ჩვენს მომავალ თაობებს“.

– ბატონო თეიმურაზ, მომავალში რას უნდა მოველოდეთ გენეტიკური კვლევებისგან?

– გენეტიკურ კვლევებს უდიდესი პერსპექტივა აქვს, მათ შორის მედიცინაშიც, – როგორც აქამდე, ყოველწლიურად (კლონირება, ქრომოსომთა კარგირება, გენური ინჟინერიით მრავალი სამკურნალო პრეპარატის შექმნა) გენეტიკური აღმოჩენები მომავალშიც განაცვიფრებს კაცობრობას უცნაურობებითა და სარგებლიანობით. ამიგომ არის, რომ XXI საუკუნე ბიოლოგიისა და გენეტიკის საუკუნედ არის მიჩნეული.

დიდ გმადრჯვებას ვუღოცავთ პროფესორ თეიმურაზ ლეკავას და ახალ წარმატებებს ვუსურვებთ.

საქართველოს მეცნიერები რომ არავისზე ნაკლები არ არიან, არაერთგზის დაგრწმუნებულვართ. მთავარია, რომ საქართველოში კვლავაც ძალუმად ფეთქავს მეცნიერული აზრი, მთავარია ისიც, რომ მეცნიერული ინტერესები თანდათან ესადაგება დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნულ ინტერესებს.

ბელა დურგლიშვილი.

ხარაშუ: პროფესორი თეიმურაზ ლეკავა.

• კვლავ „ყვითელი“ დონე
• გრიფით „სრულიად საიდუმლოდ“
• ძებნა ნარმატებით დასრულდა?

აშშ-ში შეამცირეს ტერორისტული საფრთხის დონე

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ პარასკევს გამოაცხადა, რომ „ყვითელამდე“ („ბადიდებული“) ამცირებს ტერორისტული საფრთხის დონეს, იტყობინებოდა რეიტერის სააგენტო. 10 დღის წინათ კი, როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დონე გაბარდა „ნარინჯისფრამდე“ („მაღალი“).

ტერორისტული საფრთხის დონის ამაღლების შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს მას შემდეგ, რაც მაროკოსა და საუდის არაბეთში განხორციელდა ტერორისტული აქტები. მამინ ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურებმა მიიღეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ კვლავ იგეგმებოდა მთელი რიგი ტერორისტული აქტების განხორციელება ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე.

როგორც მინაგანი უშიშროების დეპარტამენტის წარმომადგენელმა განაცხადა, ტერორისტული საფრთხის დონის შემცირების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ეფუძნებოდა რამდენიმე ფაქტორს, მათ შორის სადაზვერვო ინფორმაციასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში შესაძლო საფრთხის შეფასებას. კერძოდ, აღარ გამოჩნდა ახალი მონაცემები საფრთხეებზე, ეროვნულმა დღესასწაულმა – მოსხენიების დღემ კი, ექსცესების გარეშე ჩაიარა.

უშიშროების ღონისძიებებისათვის განკუთვნილი ხარჯები ძალზე დიდია, ამიგომ ტერორისტული საფრთხის „ნარინჯისფერ“ დონეზე დიდი ხნით შენარჩუნება ხელსაყრელი არ არის, აღნიშნავს „ფოქსნიუსი“.

უშიშროების დონეთა ასეთი სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიმუშავეს 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ. „ნარინჯისფერი“ დონე წინათ გამოცხადებული იყო 2002 წლის სექტემბერში – ტერორისტული აქტების წლისთავზე; თებერვალში, მუსლიმანთა ჰაჯის დროს ტერორისტული აქტების საფრთხის შესახებ მიღებულ სადაზვერვო მონაცემებთან დაკავშირებით, და მარტში, ერაყში საომარი მოქმედების დაწყების წინ.

სულ სისტემაში ხუთი ფერია – მწვანე, ლურჯი, ყვითელი, ნარინჯისფერი და წითელი. თუმცა, ამ სისტემის შემოღების მომენტიდან მწვანე და ლურჯი დონეები, აგრეთვე, უმაღლესი – წითელი დონე, რომელიც ტერორისტული აქტების განხორციელების უშუალო საფრთხეს მიანიშნებს, ჯერ არ გამოუცხადებიათ.

ერაყის სპეცსამსახურებმა მიიღეს ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა ემოქმედათ სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემთხვევაში

ერაყს გამეთი „ამ-ზამანი“ შაბათის ნომერში წერდა, რომ ქალაქ ბასრის უშიშროების ძალების ერთ-ერთ განყოფილებაში ნაპოვნია № 549 საიდუმლო დოკუმენტი. ეს არის ინსტრუქცია სპეცსამსახურების თანამშრომლებისათვის იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ემოქმედათ სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემთხვევაში.

ცირკულარი, რომელსაც აქვს გრიფი „სრულიად საიდუმლოდ“, შედგენილია 2003 წლის 23 იანვარს, ანუ ერაყში ომის დაწყებამდე ორი თვით ადრე და იგი განკუთვნილია „უშიშროების ძალებისა და დაზვერვის ყველა დეპარტამენტისათვის“. დოკუმენტში საზგასმულია, რომ რეჟიმის დამხობის შემთხვევაში შემოთ აღნიშნულ უწყებათა ყველა თანამშრომელი ვალდებულია:

1. გაძარცვონ და გადაწვან ყველა სახელმწიფო დაწესებულება, განსაკუთრებით კი ისინი, რომლებიც უშიშროების ძალებს მიეკუთვნება;
2. მოსპონ ელექტროსადგურები და წყალმომარაგების სადგურები;
3. მოამზადონ ერთგული კადრები, რომლებიც შეძლებენ შეღწევას მეჩეთებში, ნაჯეფის რელიგიურ სკოლაში, გაწვევრიანდებიან ყველა ახლადდაარსებულ ისლამურ და ეროვნულ პარგიებსა თუ მოძრაობებში;
4. შეისყიდონ იარაღი, გამუდმებით შეიცვალონ ადგილსამყოფელი;
5. დახოცონ მეჩეთების იმამები და ახალი პოლიგიკური ლიდერები.

გენეტიკის საიდუმლოების კიდევ ერთი გასაღები

ლებლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა დარგის წამყვანი მეცნიერები) ერთხმად წარადგინა როგორც აღმოჩენა და მონოგრაფიის სახით გამოსაცემად რეკომენდაცია მისცა.

პროფესორი თეიმურაზ ლეკავა, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენეტიკის კათედრის გამგე, მრავალი მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს ავტორი, ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს თავმჯდომარე, ბიოსამედიცინო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი და რამდენიმე უცხოურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი და საერთაშორისო და ამერიკის ბიოგერონტოლოგიური ასოციაციის წევრია. აღსანიშნავია, ისიც, რომ 1962 წელს სახელგანთქმულმა რუსმა მეცნიერმა, რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ალექსანდრა პროკოფიევა-ბულგოვსკაიამ, იმსანად აკრძალული გენეტიკური კვლევების მიუხედავად, მოსკოვის მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტში გენეტიკური ლაბორატორიის შექმნა შეძლო. მან სხვადასხვა რესპუბლიკიდან შემოიკრიბა პერსპექტიული ახალგაზრდები. მათ მორის იყო ბაგონი თეიმურაზ ლეკავაც, რომელიც ამჟამად აღიარებული, როგორც დაბერების გენეტიკის სამეცნიერო სკოლისა და საერთაშორისო სიმპოზიუმის „დაბერების ციტოგენეტიკის“ დამფუძნებელი (ოთხი სიმპოზიუმიდან ერთ-ერთი იაპონიაში გაიმართა).

პროფესორ თეიმურაზ ლეკავას შრომები ადამიანის დაბერების გენეტიკის თეორიის შესახებ, გამოქვეყნდა ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიისა და ევროპის ქვეყნების წამყვან სამეცნიერო ჟურნალებში. მისი კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ადამიანის დაბერებისას მის ორგანიზმში ხორციელდება ქრომოსომათა (მემკვიდრეობითობის სტრუქტურების) მოდიფიკაციები – ცვალებადობა (ჰეტეროქრომატინიზაცია), რომელიც იწვევს გარკვეულ გენთა (მემკვიდრეობითობის ერთეულევგენი, ვილონი, პროსტომაქსი და კართოგენი), რომლებსაც აქვთ სიცოცხლის გახანგრძლივების იმუნური სისტემის გააქტიურების, რეპარაციულ-აღდგენითი თვისებები და სხვადასხვა დაავადების საკურნალოდ გამოიყენება. აღნიშნული პრეპარატების კლინიკური შედეგების შესახებ რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში გამოცემულია რამდენიმე მონოგრაფია. ჩვენი თანამშრომლობის მიზანი იყო შეგვეწავლა ამ სამკურნალო პრეპარატების მოქმედების მექანიზმი.

ორი წლის კვლევის მედეგად დავადგინეთ, რომ აღნიშნული პეპტიდური შენაერთები ხსნიან ადამიანის დაბერების პროცესში არსებულ „ჩაკეტილ ქრომოსომულ რაიონებს“ და ათავისუფლებენ ინაქტივირებულ – დათრგუნულ გენებს მათი მოქმედების გასააქტიურებლად, რაც ჯანმრთელობის ძირითადი საფუძველია. ცნობილია, რომ ენი ვერ ამოქმედდება, თუ მას ქრომოსომა ამის საშუალებას არ მისცემს.

– ესე იგი, შემოთ აღნიშნულმა პრეპარატებმა – „აბიეულს“ დაბერებულ ორგანიზმში არსებული ქრომოსომები, რომ გაეთავისუფლებინათ „დამონებულ-დათრგუნული“ გენები?

– დიახ, ეს გახლავთ პირველი დიდმნიშვნელოვანი ნიასხეკ, რომელიც მიღწეულია აღნიშნული ბიორეგულაციისა და ბიოლოგიური ქრომოსომის „ჩაკეტილი უნენების“ გახსნის შედეგად.

ამ მონაცემების ჯეროვანი შეფასება ჩვენი უნივერსიტეტის გენეტიკის კათედრის მეცნიერთა კიდევ ერთი აღიარების დასტურია, რასაც წინ უძღოდა საერთო სამეცნიერო პუბლიკაციები რუსეთსა და საზღვარგარეთ.

მისასალმებელია, რომ ეს წარმატება დაემთხვა სანკგ-პეტერბურგის 300 წლისთავს, ქალაქისას, რომლის განათლებისა და კულტურის კერებში მრავალი თვალსაჩინო ქართველი მოღვაწე აღიზარდა. და ახლაც, იქ ათასობით ქართველი ცხოვრობს და მოღვაწეობს.

ამ ურთიერთობის ნათელი გამოსახულებაა სანკგ-პეტერბურგიდან ამ დღეებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს რონინ შეგრეველის სახელზე მოსული შეტყობინება, რომელსაც ხელს აწერს პროფესორი ვლადიმერ სავინსონი. მასში ქართველი მეცნიერის წარმატების ფიქტთან ერთად აღნიშნულია: – „ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული შეგობრული ურთიერთობა, ვიმედოვნებთ, კვლავაც განუწყვეტლივ შემკვიდრეობით გადაეცემა ჩვენს მომავალ თაობებს“.

– ბატონო თეიმურაზ, მომავალში რას უნდა მოველოდეთ გენეტიკური კვლევებისგან?

– გენეტიკურ კვლევებს უდიდესი პერსპექტივა აქვს, მათ შორის მედიცინაშიც, – როგორც აქამდე, ყოველწლიურად (კლონირება, ქრომოსომთა კარგირება, გენური ინჟინერიით მრავალი სამკურნალო პრეპარატის შექმნა) გენეტიკური აღმოჩენები მომავალშიც განაცვიფრებს კაცობრობას უცნაურობებითა და სარგებლიანობით. ამიგომ არის, რომ XXI საუკუნე ბიოლოგიისა და გენეტიკის საუკუნედ არის მიჩნეული.

დიდ გმადრჯვებას ვუღოცავთ პროფესორ თეიმურაზ ლეკავას და ახალ წარმატებებს ვუსურვებთ.

საქართველოს მეცნიერები რომ არავისზე ნაკლები არ არიან, არაერთგზის დაგრწმუნებულვართ. მთავარია, რომ საქართველოში კვლავაც ძალუმად ფეთქავს მეცნიერული აზრი, მთავარია ისიც, რომ მეცნიერული ინტერესები თანდათან ესადაგება დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნულ ინტერესებს.

ბელა დურგლიშვილი.

ხარაშუ: პროფესორი თეიმურაზ ლეკავა.

ბუშმა განაცხადა, რომ ერაყში იპოვეს მასობრივი განადგურების იარაღი

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ ამერიკელებმა „ერაყში იპოვეს მასობრივი განადგურების იარაღი – ბიოლოგიური ლაბორატორიები“. ეს ბუშმა აღნიშნა თვთრ სახლში პოლონეთის „ტვა“ ტელეარხისათვის მიცემულ ინტერვიუში. ინტერვიუს სრული სტენოგრამა გაავრცელა ვაშინგტონში თვთრი სახლის პრესსამსახურმა.

„გახსოვთ, კოლინ პაუელმა მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადა, რომ ერაყს აქვს ბიოლოგიური იარაღის შექმნისათვის განკუთვნილი მობილური ლაბორატორიები, რომლებიც უკანონოა და არღვევს გაეროს რეზოლუციას – ჩვენ ვიპოვეთ ორი ასეთი ლაბორატორია“, – აღნიშნა ბუშმა და გამოთქვა რწმენა, რომ „დროთა განმავლობაში ამერიკელები უფრო მეტ ასეთ იარაღს იპოვიან“. „ისინი, ვინც ამბობდა, რომ ჩვენ ვერ ვიპოვეთ იარაღის წარმოების აკრძალული სამუალებები, ან თვით ეს იარაღი, ცდებოდნენ“. – თქვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა.



ნინა დღით „ფოქსნიუსის“ ტელარხი, იმოწმებდა რა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის სამმართველოს მიერ მომზადებულ მოხსენებას, იტყობინებოდა, რომ ერაყში ნაპოვნ საგვირთო მანქანებს ლაბორატორიული მოწყობილობით ამერიკის დაზვერვა მიიჩნევს იმის ყველაზე სერიოზულ მტკიცებულებად, რომ ერაყში არის მასობრივი განადგურების იარაღი.

ამავე დროს, როგორც ამერიკის დაზვერვა აღნიშნავს, საგვირთო მანქანებში ვერ მიაგნეს აკრძალულ იარაღს.

ერაყელ მეცნიერთა მტკიცებით, ნაპოვნ გრაილერებს იყენებდნენ მეტეოროლოგიური მოწყობილობისათვის განკუთვნილი წყალბადის გამოსამუშავებლად, რომელიც ფართოდ გამოიყენება ჩვეულებრივ არგილერიაში.

შეგახსენებთ, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს თებერვლის სხდომაზე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა წარმოადგინა ამერიკის დაზვერვის მონაცემები, რომლებიც მოწმობდნენ ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის წარმოებისათვის განკუთვნილი მობრავი ლაბორატორიების არსებობას. მამინ პაუელმა განაცხადა, რომ „ერაყს ასეთი სულ ცოტა შვიდი მობილური ლაბორატორია მაინც აქვს. ლაბორატორიებს შეუძლიათ აწარმოონ ციმბირული წყლულის სპორები და რიცინი. ასეთი ლაბორატორიების აღმოჩენა პრაქტიკულად შეუძლებელია“, – თქვა მამინ სახელმწიფო მდივანმა. პაუელმა შენიშნა, რომ წინათ ინსპექტორებს დასჭირდათ დაახლოებით 4 წელი საიმისოდ, რომ ეპოვათ ბიოლოგიური იარაღის წარმოებისათვის განკუთვნილი სტაციონარული ობიექტები, არადა, მობილური ლაბორატორიების პოვნა ხომ გაცილებით უფრო რთული საქმეა. „საიმისოდ, რომ მოხდეს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მუშაობის პარალიმება, საჭიროა მხოლოდ ერთი სუფრის კოვზი ციმბირული წყლულის ფხვნილი, – აღნიშნა პაუელმა, – ერაყში კი ასეთი ათასობით კოვზი აქვთ“.

კონტაქტები

გლდანი-ნაძალადევის რაიონის **გამგეობიდან გვაცნობეს, რომ მათ გერმანიის ქალაქ საარბრიუკენის დელეგაცია ესტუმრა. დელეგაციის წევრები რაიონის სოციალური საკითხებით დაინტერესდნენ, განსაკუთრებით დაუცველ ბავშვთა პრობლემების გაცნობით, მოინახულეს დედაქალაქის ამ რაიონში არსებული ბავშვთა მიმდებ-გამანაწილებელი, გონებაშეზღუდულთა ბავშვთა ინტერნატი, უფასო სასადილო და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.**

კონსტრუქციულ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ადგილობრივი მმართველობა და სტუმრები ერთ საინტერესო იდეაზე შეჩერდნენ: რაიონში ის ტერიტორიაც შეერჩევა, სადაც ფართოპროფილიანი „სოციალური სახლი“ დაიდგმის ბინას.

თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალურად დაუცველ ბავშვთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის საკოორდინაციო ცენტრი (ხელმძღვანელი მახეილ მინდაძე) და გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის სოციალურ საკითხთა განყოფილება უახლოეს მომავალში შექმნიან პროექტს, რომელიც სხვადასხვა კატეგორიის დაუცველ ბავშვთა (ინვალიდთა, ობოლი, მრავალშვილიანი ოჯახის, გაჭირვებული, ავადმყოფი...) ინტერესები იქნება გათვალისწინებული და მათთვის საგანგებოდ განათლების, სკოლის გარეშე აღზრდის, სპორტით დაკავებისა და დახმარების სხვა საშუალებათა პერსპექტიული გეგმები შემუშავდება. ამ პროექტის დაფინანსებაში წვლილს გერმანული მხარეც შეიგანს. გარდა ამისა, ამ პროექტით აგებულ „სოციალურ სახლში“ მომსახურე პერსონალი მთლიანად გლდანი-ნაძალადევის რაიონის უმუშევარი მოქალაქეებით დაკომპლექტება, ისინი გადამზადების კურსებსაც ადგილზე გაივლიან.

...იდეა იდეად არ დარჩება, 2003 წლის სექტემბრისათვის თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალურად დაუცველ მომბარდთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის საკოორდინაციო ცენტრი მუშაობას შეუდგება.

ნათელა ფაილოძე.

ბუშში მადლობას უხდის პოლონელებს

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში პარასკევს სალამის ბაფრინდა კრაკოვში. მისი შვიდდღიანი მოგზაურობა ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში შემთხვევით როდი დაიწყო პოლონეთიდან. თუ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის დონანდ რამსფელდის გამონათქვამს დავიმოწმებთ, თეთრი სახლის თვალში პოლონეთი არის „ახალი ევროპის“ განსახიერება, რომელსაც ბუშის ადმინისტრაცია ამჟამად უფრო მეგად აფასებს, ვიდრე „ძველს“, ანუ, უწინარეს ყოვლისა, საფრანგეთსა და გერმანიას, რომლებიც სათავეში ედგნენ ერაყში ომის დაწყების წინააღმდეგ გამართულ კამპანიას.

შაბათს ბუში გამოვა ვისლის ნაპირებზე აღმართულ ვაველის ცხენ-კომში – იგი იყო პოლონეთის მეფეების რეზიდენცია 1320-1596 წლებში, როცა დედაქალაქი კრაკოვიდან ვარშავაში გადაიტანეს.

პოლონეთის „ტვპ“ ტელეარხისათვის მიცემულ ინტერვიუში ბუშმა აღნიშნა: „ძალზე მნიშვნელოვანია, პოლონელებმა შეიგნონ, თუ რა დიდად აფასებენ ამერიკელები მათ თავდადებას, ვაჟკაცობასა და მზადყოფნას, გაგვიწიონ დახმარება ერაყსა და ავღანეთში“.

როგორც ვარაუდობენ, ბუში მადლობას გადაუხდის პოლონელებს იმის გამო, რომ ამ ქვეყანამ გაგზავნა დაახლოებით 200 სპეციალური დანიშნულების რაზმების მებრძოლი ერაყში, სადაც ისინი მონაწილეობდნენ უმ-ქასრისა და მიმდებარე ნავთობის საბადოების აღებაში. ბუში, ალბათ არც ძველ დამსახურებას დაუვიწყებს პოლონეთის. მაგალითად, 1991 წელს სპარსეთის ყურეში ომის დროს პოლონეთის დაზვერვა დაეხმარა ამერიკის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს ბაღდადიდან მისი თანამშრომლების ჯგუფის საიდუმლოდ გამოყვანაში, მომდევნო პერიოდში კი პოლონეთის საელჩო წარმოადგენდა ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს ერაყში.

ახლა პოლონეთი დათანხმდა სათავეში ჩაუდგეს შვიდათასიან სამშვიდობო კონგინგენტს ბაღდადსა და ბასრას შორის სექტორში და მასში შეიყვანოს ორი ათასი თავისი ჯარისკაცი, რომელთა გაგზავნა ერაყში ივნისში დაიწყება. პოლონეთის თავდაცვის სამინისტრომ, აგრეთვე, განაცხადა, რომ კიდევ ორი ათას მეომარს გაგზავნის უკრაინა. მათ შეუერდებიან შედარებით მცირერიცხოვანი კონგინგენტები ათობით სხვა ქვეყნიდან. ბულგარეთი და ჩეხეთი კი შესაბამისად 500 და 400 ჯარისკაცის გაგზავნას აპირებენ.

ბოკიო ვაშინგტონისგან შეისყიდის „პატრიოტის“ ტიპის საზღვაროთ-საჰაერო კომპლექსებს

იაპონია **დაგეგმილი** **აქვს** **ამერიკის** **შეერთებული** **შტატებისგან** **შეისყიდოს** „პატრიოტის“ **ტიპის** **საზღვაროთ-საჰაერო** **კომპლექსები,** **რომლებიც** **ამერიკის** **საჰაერო** **თავდაცვის** **ახალი** **სისტემის** **შემადგენელი** **ელემენტია,** **და** **განახორციელოს** **საკუთარი** **რაკეტსაწინააღმდეგო** **სისტემების** **მოდერნიზაცია**

კორეის **სახალხო-დემოკრატიული** **რესპუბლიკის** **მხრიდან** **შესაძლო** **თავდასხმის** **შემთხვევაში.** **სამთავრობო** **წყაროებზე** **დამოწმებით** „**ეიოდზოლ**“ **საგაზეთო** **შაბათს** **იტყობინებოდა,** **რომ** **იაპონიაში** **2006** **წლისათვის** **აპირებენ** **შეუდგნენ** **ახალი** **რაკეტსაწინააღმდეგო** **ფარის** **მშენებლობას.**

ეს იქნება საჰაკეტო თავდაცვის ორმაგი სისტემა – იაპონიის მეიარაღეული ძალების კუთვნილმა საეს,კადრო ნაღმოსნებმა, რომლებიც აღჭურვილია AEGIS საპაერო თავდაცვის ავტომატგიმბული სისტემით, ტრაექტორიის სამუალო მონაკვეთზე უნდა გადაიტაცონ მტრის რაკეტები, აცდენის შემთხვევაში კი, შათ განადგურებენ სახმელეთო ბაზირების „პატრიოტების“ მეშვეობით.

როგორც იტყობინებიან, სამეინგო-საჰაკეტო კომპლექსების შესყიდვისათვის იაპონია აპირებს დაახლოებით 1,5 მილიარდი დოლარის დახარჯვას. ოდნავ ნაკლები თანხა მოხმარდება AEGIS-ის და საჰაადარო სისტემების სრულყოფას, საერთო დანახარჯები კი 8 მილიარდს გადააჭარბებს.

მართალია, ტოკიო აღნიშნავს, რომ ასეთ ჩანაფიქრს საფუძველად უდევს მხოლოდ ქვეყნის თავდაცვის საშუალებების გაძლიერება ჩრდილოეთ კორეაში ბირთვული კრიზისის ფონზე და ეს არანაირად არ უკავშირდება ამერიკელთა საჰაკეტო თავდაცვას, ამ გეგმებმა მაინც შეაძლებელი გამოიწვიოს ცხარე კამათი იაპონიის პარლამენტში.

ქვეყანაში არ არის ერთიანი აზრი იმის თაობაზე, რომ რაკეტსაწინააღმდეგო ფარის შექმნა მთლიანად შეესაბამება კოლექტიურ თავდაცვაში მონაწილეობის მიუღებლობის შესახებ სახელმწიფო პრინციპს. ეს პრინციპი ეფუძნება კონსტიტუციის მე-9 მუხლს, რომლის თანახმადაც იაპონია უარს აცხადებს შეიარაღებული ძალების გამოყენებაზე საერთაშორისო კონფლიქტების დროს.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა
ზაზა ბეშანიძემ.

მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტი

ვისაც გსურთ, ჩაწვდეთ პრესისა და ელექტრონული მედიის ყველა საიდუმლოს, დაეუფლოთ წერისა და კომუნიკაციის ისეთ მეთოდებს, რომლებიც გაბრდილი კონკურენციის პირობებში უმრუნველყოფს თქვენს სერიოზულ წარმატებას ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერომი, ვისაც გსურთ კონკურენტუნარიანი, ინტეგრირებულ სწავლებასა და თანამედროვე მეთოდოლოგიურ ტექნოლოგიებზე დამყარებული სპეციალობების დაუფლება შემოქმედებით აგმოსფეროში და საინტერესო სტუდენტური ცხოვრება, რომელიც ასევე თქვენი მომავალი საინტერესო სამსახურის საფუძველი გახდება, მობრძანდით მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტში.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“, ქართული ლიტერატურისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტების ბაზაზე დაარსებული ინსტიტუტი დიფერენცირებული, დარგობრივი პრინციპით ამზადებს ჟურნალისტებს შემდეგ სპეციალობებში:

1. ჟურნალისტიკა (პრესა და რადიოტელევიზია);
2. საერთაშორისო და პოლიტიკური ჟურნალისტიკა;
3. მასმედია და საზოგადოებასთან ურთიერთობები;
4. ტელე-რადიოჟურნალისტიკა (გადაცემათა ავტორი და წამყვანი) და სარეჟისორო ხელოვნება;
5. საერთაშორისო ჟურნალისტიკა და პოლიტოლოგია-კონფლიქტოლოგია;
6. საერთაშორისო ჟურნალისტიკა და სამართალი (პრესამბუდსმენი და ჟურნალისტური გამოძიება);
7. სამართალმცოდნეობა და საზოგადოებასთან ურთიერთობები (სიტყვის თავისუფლება და ადამიანთა უფლებების დაცვა);
8. ენა, ლიტერატურა და ჟურნალისტიკა (მასმედია და ქართულ-ევროპული ფილოლოგია);
9. ტურიზმი და საზოგადოებასთან ურთიერთობები;
10. ეკოლოგია და საზოგადოებასთან ურთიერთობები;

11. საერთაშორისო ჟურნალისტიკა და ეკონომიკური ურთიერთობები.

ინსტიტუტს შემოქმედებითი კონკაქტები აქვს დამყარებული სხვადასხვა ტელეკომპანიასთან.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გამოყენებული იქნება ბაზად სწავლისა და პრაქტიკების პროცესში. წარჩინებულ სტუდენტებს დაენიშნებათ სტიპენდიები.

**ლიტერატურისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტების მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლ

კომპეტენტური აზრი

რას უქადის მსოფლიოს გლობალური დათბობა?

უნდა შეიზღუდოს ბუნებრივი რესურსების ზღვარგადასული ემისიები

უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად მოიმატა მიწისპირა პაერის ტემპერატურამ, ანუ, როგორც ახლა ამბობენ, გლობალურად დათბა, რაც გაერომ სრულიად სამართლიანად აღიარა კიოტოს ბრიობის წინაშე მდგომ პრობლემათა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესად.

დათბობის, ბუნების ამ ურთულესი ფენომენის, გამომწვევ მიზეზთაგან ამჟამად ყველაზე აქტუალურია სათბურის გაზების (მეთანი, ამოგის კანგი და სხვ.), განსაკუთრებით კი ნახშირორჟანგის (CO_2) ზრდა აგმოსფეროში.

ჯერ კიდევ 1909 წელს ცნობილმა შვედმა მეცნიერმა სვანთე ავგუსტ არენიუსმა (1859-1927) პირველად აღნიშნა ნახშირორჟანგის როლი, როგორც მიწისპირა პაერის ტემპერატურის რეგულატორისა. ამ გაზის თვისება – თავისუფლად გააგაროს მზის სხივები დედამიწის შედაპირამდე და, ამავე დროს, შეასრულოს ეკრანის როლი, რომელიც მნიშვნელოვნად მღუდავს დედამიწიდან სითბოს გაბნევას აგმოსფეროში, ქმნის „სათბურის ეფექტის“ იმ მექანიზმს, რომელიც გაჯაპირობებს პაერის ტემპერატურის გლობალურ მაგებას.

მთელ რიგ გამოკვლევებზე დაყრდნობით ვარაუდობენ, რომ CO_2-ის შემცველობა აგმოსფეროში 2025 წლისათვის (1850 წელთან შედარებით) გაორმაგდება, ე. ი. 0,058 პროცენტი გახდება (1950-60-იან წლებში იგი შეადგენდა 0,03 პროცენტს), ეს კი გამოიწვევს გლობალური ტემპერატურის 1-3°C-ით ზრდას, რასაც მოჰყვება მსოფლიო ოკეანის დონის მნიშვნელოვანი აწევა (მყინვარული საფარის ინტენსიური დნობის გამო). აგმოსფერული პაერის ამ „უცოდველ გაზს“ (იგი აბსოლუტურად უვნებელი, უფერო, თითქმის უსუნოა) შეუძლია გლობალური მასშტაბის საშიში ეკოლოგიური პროცესების გამოწვევა, რომელიც ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემად გადაიქცევა. ამიგომ, იგი არა მარტო მეცნიერებს, არამედ თითქმის ყველა ქვეყნის მთავრობებს აწუხებთ.

განგაშის პირველი ზარი შემოჰკრეს (შეიძლება ითქვას, დაგვიანებითაც) 1992 წლის მაგხულში, როდესაც რიო-დე-ჟანეიროში გაეროს ეგიდით ჩაგარდა საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელშიც მეცნიერებთან ერთად 150-მდე სახელმწიფოთა მეთაურები და სამთავრობო ორგანიზაციები მონაწილეობდნენ. ყველაზე აქტუალურ საკითხად წარმოდგენილი იყო ბიოსფერის გაჯუჯყიანება და სათბური გაზების, ძირითადად კი, ნახშირორჟანგის მოქმედება დედამიწის თერმულ რეჟიმზე, როგორც გლობალური დათბობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი.

მომდევნო სიმპოზიუმი – მსოფლიო სამიგი („რიო+10“), ისევ გაეროს ეგიდით, რომელიც გაიმართა 2002 წლის მაგხულში, სამხრეთ აფრიკის რესუბლიკის ქალაქ იოპანესბურგში, მიეძღვნა გარემოს დაცვას და მის მდგრად განვითარებას. აქ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად წარმოდგენილი იყო ისევ ბიოსფეროს გაჯუჯყიანება, CO_2-ის კონცენტრაციის ზრდა აგმოსფეროში და სხვ. ასევე პრიორიტეტულ ამოცანად ჩაითვალა განვითარებად ქვეყნებში სიღიგაკის დაძლევა, რადგან სიღატაკე მიჩნეულია ბუნების ეკოლოგიური წონასწორობის რღვევის ძირითად საფრთხედ.

ჩვენი პლანეტის ბუნება შედგება ცალკეული, სრულიად განსხვავებული კომპონენტებისაგან (რელიეფი, ნიადაგი, წყალი, კლიმატი, ფლორა, ფაუნა), რომლებიც ქმნიან ერთ მთლიან სისტემას. ამ სისტემაში არცთუ დიდი ხანია, შევიდა და სულ უფრო ძლიერდება პრინციპულად ახალი კომპონენტი – ადამიანი.

ბუნებრივია ისმის კითხვა: რა დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ადამიანი ბუნების განუყოფელი ნაწილი გახდა, ანუ, დროის რა მონაკვეთი იგულისხმება ტერმინში – „არცთუ დიდი ხანი“?

ვიდრე ამ კითხვაზე პასუხს გავცემდეთ, უპირველესად, საჭიროა ვიცოდეთ თვით დედამიწის გეოლოგიური ასაკი.

დედამიწის გეოლოგიურ ასაკს (სამეცნიერო ლიტერატურაში მას ჯერჯერობით საყოველთაოდ მიღებულ 5 მლრდ. წელს უგოლებენ) თუ დღე-ღამეს, ე. ი. 24 საათს შევადარებთ, ადამიანის არსებობის ხანა დედამიწაზე იქნება მხოლოდ ორნახევარი წუთი, რომელიც 2-3 მლნ. წელს შეესაბამება. ამიგომ უწოდებენ დედამიწის გეოლოგიური განვითარების უკანასკნელ ხანას ანთროპოგენს. თუ ამაზე ღრმად დავფიქრდებით, ქართული ენის ლექსიკონში არსებული სიტყვა „წუთისოფელი“ უთუოდ ჩვენი ერის სიბრძნეზე მიუთითებს, რადგან ძნელად თუ მოიძებნება სხვა ქვეყნის ლექსიკონში სიტყვა, რომელიც ასე ლაკონურად და, მართლაც რომ, ზედმიწევნით ზუსტად აღნიშნავდეს დედამიწაზე ადამიანის არსებობის ხანგრძლივობას.

დედამიწის გეოლოგიური განვითარების უკანასკნელ პერიოდში – ანთროპოგენში გამოჩენილი ადამიანის შემოქმედება ბუნებაზე (თუნდაც ჰოლოცენში) პრაქტიკულად ნული იყო, თუ გავითვალისწინებთ დედამიწაზე მამინდელი მოსახლეობის რიცხვსა და, რაც მთავარია, მის შრომის იარაღებს. ანთროპოგენური ფაქტორი ერთობ გააქტიურდა განსაკუთრებით XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მკვეთრ განვითარებასთან ერთად. ჯერ კიდევ 40-იან წლებში, ცნობილმა რუსმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა ვ. ვერნადსკიმ (1863-1945) ადამიანი გეოლოგიურ ძალასაც კი შეადარა.

ამჟამად ძირითად ანთროპოგენურ ფაქტორებად მიჩნეულია:

1. ადამიანის მიერ გამომუშავებული ენერგია, რომელსაც ანთროპოგენურ სითბოს ვუწოდებთ;

2. ნახშირორჟანგის (CO_2) კონცენტრაციის ზრდა; 3. აეროზოლების მნიშვნელოვანი მაგება; 4. ქვეფენილი შედაპირის მგაცეულური ექსპლუატაცია, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს გყეების გაჩანაგებას (ჩეხვისა და ხანძრების გამო), ნიადაგის ეროზიას, პუმუსის მოსპობას და ა. შ. ამ ნეგაგიურ პროცესებს კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენი პლანეგის მოსახლეობის რიცხვის ყოველწლიური მაგება 70-80 მლნ. კაცით, რასაც ბუნებრივი რესურსების პიპერგროფიული ხარჯვა მოსდევს, და აგრეთვე, ლოკალური ხასიათის ომებიც, თავისი თანმდევი პროცესებით – ნგრევითა და ხანძრებით.

ყველა ამ ფაქტორის სიმრავლე და ერთდროულად მოქმედება, ცხადია, ართულებს კლიმაგის ცვლილებაში მათი მოქმედების ძალისა და წილის დადგენას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალი კლიმაგის პროგნოზირებაში.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ კლიმაგის ცვლილებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მოსახლეობის მაგერიალური კეთილდღეობა, გარკვეულწილად მისი ყოფნა-არყოფნაც კი, თუ გავითვალისწინებთ წყალდიდობებით, გვალვებით, შვავებით, ქარიშხლებითა და სხვა საშიში ბუნებრივი პროცესებით გამოწვეულ ბარალსა და მსხვერპლს, რომელთა რიცხვი ყოველწლიურად, სამწუხაროდ, სულ უფრო იზრდება, რაშიც „ლომის წილი“ კლიმაგს მიუძღვის. გამოთვლილია, რომ მსოფლიოში მსხვილი კაგასტროფებით გამოწვეული ზარალი ყოველწლიურად, 60 მლრდ. აშშ დოლარს უგოლდება. ნუ დაგვავიწყდება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, სწორედ კლიმაგის ცვლილება იყო მიზეზი მთელი რიგი ერებისა და ქვეყნების კულტურის როგორც აღმავლობისა, ისე დაცემისა.

ზემოთ ხსენებულ ანთროპოგენურ ფაქტორთაგან, რომლებიც კლიმაგის თანამედროვე ცვლილებას, კერძოდ, დათბობას იწვევს, განსაკუთრებული როლი ენიჭება CO_2. მისი ზრდა აგმოსფეროში ფუნქციურ კავშირშია მოსახლეობის რიცხვის ზრდასთან და, რაც მთავარია, მრეწველობის განვითარებასთან, რომელიც დიდად არის დამოკიდებული სათბობი რესურსების ინტენსიურ ხარჯვაზე.

გლობალური დათბობის პროცესის შესაჩერებლად იაპონიის ძველ ისტორიულ დედაქალაქ კიოტოში, ამ ორიოდე წლის წინათ, ხელი მოეწერა სხვადასხვა ქვეყნების მთავრობათა ხელშეკრულებას მსოფლიო სამრეწველო ინდუსტრიის განვითარების ტემპის შემცირების თაობაზე.

კონვენციას ხელი არ მოაწერა აშშ-ის დღევანდელმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა, რომელმაც განაცხადა, რომ სამრეწველო პროდუქციის წარმოების შემცირება მისი ქვეყნის ეკონომიკისათვის ზარალიანია და ამას არ დაუშვებს. მის მაგალითს მიბაძეს კანადამ, ავსტრალიამ და სხვებმა.

აქედან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა: მსოფლიოს განმიწვებისათვის „შეუპოვარი ბრძოლის“ შედეგად შენდება ქალაქები, ქარხნები, გზები, კაშხლები და ა. შ. განსაკუთრებულ „ტრავმებს“ მიწა განიცდის სასარგებლო წიაღისეულის ამოღებასთან დაკავშირებით. ასეთი საქმიანობით ცხადია, იცვლება მსოფლიო მიწის ფონდის სტრუქტურა და მის კვალობაზე ხდება ზემოაღნიშნული ზოგიერთი ეკოსისტემის ფართობების შემცირებაც, რასაც სხვა ნეგატიურ პროცესებთან ერთად თან სდევს CO_2-ის გამოყენების (შთანთქმის) მკვეთრი დაცემა. ეს კი იწვევს ამ აირის პერმანენტულ, ზნიმნელოვან დაგროვებას აგმოსფეროში, მისი მცირე შემოსავლის ფონზეც კი.

როგორ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ამგამინდელი მსოფლიო მრეწველობის დამუხრუჭება სასურველ შედეგს ვერ მოიგანს. სამრეწველო წარმოების შემცირებას უთუოდ თან მოჰყვება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დონის მკვეთრი დაცემა. უფრო მეგიც, განვითარებად ქვეყნებში ეს გამოიწვევს სიღატაკის ზრდას. ადამიანი კიდევ უფრო მეგი სიმძაფრით შეუდგება ბუნებაზე ზემოქმედებას, განსაკუთრებით, მისი რესურსების ექსპლუატაციას. და ასე შეიკვრება ის მოჯადოებული წრე, რომელიც მეგ ზიანს მიაყენებს ბიოსფეროს, განსაკუთრებით კი მის მნიშვნელოვან კომპონენგს – ადამიანს.

ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ საგანგაშო არა გამონაბოლქვის გაზრდაა აგმოსფეროში, არამედ აგმოსფეროდან CO_2-ის გამოყენების (ხარჯვის) სიჩქარის მკვეთრი შემცირება ბუნებრივ-ეკოლოგიური სისგემების მიერ, რომლებიც ასე უმოწყალოდ ნადგურდებიან.

როგორც ჩანს, უმჯობესია აგმოსფეროში სათბურის გაზების ემისიის ზრდას სხვა დამცავი მექანიზმები დაუპირისპირდეს. მაგალითად, ბუნებრივი რესურსების მღვარგადასული ექსპლუატაციის შეზღუდვა და მათი რაციონალური გამოყენება, ახალი – ეკოლოგიურად სუფთა ენერგიის წყაროების გამონახვა, სამრეწველო საწარმოთა აღჭურვა მაღალტექნოლოგიური დანადგარებით, მოსახლეობის ზრდის რეგულირება, დიდი ფართობის მქონე ნაკრძალების დაარსება და ეროვნული გყეპარკების გაშენება, ადამიანის მიერ მორალურ - იურიდიულ კანონებთან ერთად ეკოლოგიური კანონების მკაცრი დაცვა და სხვ.

ყველაფერი ეს კი, მხოლოდ ძლიერი მაგერიალურ-ტექნიკური ბაზის (განსაკუთრებით ავანგარდული – ნანოტექნოლოგიების უმრუნველყოფილი ეკონომიკის) საშუალებითაა შესაძლებელი და არა მისი ლიმიგირებით. გასათვალისწინებელია ასევე ჩვენგან დამოუკიდებელი, ვულკანური ამოფრქვევები, რომელიც ადამიანის საქმიანობასთან შედარებით ათასჯერ მეგ სათბურის გაზებს აგზავნიან აგმოსფეროში. არც ისაა გამორიცხული, რომ გლობალურ დათბობას გლობალური ხასიათის მკვეთრი აცივებაც შეიძლება მოჰყვეს, როგორც ამას მოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს. ალბათ, ყველაფერი ეს გითვალისწინა პრეზიდენგმა ჯორჯ ბუშმა, რომელმაც, ჩვენი აზრით, სრულიად მართებულად, ხელი არ მოაწერა კიოტოს აღნიშნულ ხელშეკრულებას.

ამრიგად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ თანამედროვე მსოფლიომ უნდა შეზღუდოს ბუნებრივი რესურსების მღვარგადასული ექსპლუატაცია და ამბიციები (როგორც ბუნებრივი, ასევე ანთროპოგენური ლანდშაფგების მიმართ), რომელიც არღვევს მსოფლიო „ეკოლოგიურ წესრიგს“ და იწვევს შეუქცევად პროცესებს. ჩვენი აზრით, ამ საქმეში, მსოფლიო სამრეწველო განვითარების დამუხრუჭება გამოსავალი არ არის.

პირიქით, სწორედ XXI საუკუნის სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა მმვიდობიანი, ეკოლოგიურად სუფთა, იაფი ენერგიის შექმნაა, ახალი ფუნქცია უნდა შეიძინოს – ბუნების დაცვა! სწორედ ამ გზით შეიძლება არა მარგო ეკოლოგიური, არამედ თანამედროვე მსოფლიო პოლიგიკური და სოციალური წესრიგის დამყარებაც.

დალი მუშლაძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის კლიმაგოლოგიის განყოფილების ფაზყვანი მეცნიერმუშაკი.

გავუთბოთ ერთმანეთს გულები

„გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!“

– ეს იყო დევიზი იმ ლამაზი და თბილბუნებადი სპორტული ღონისძიებისა, რომელიც მიხეილ კეკელიძის სახელობის ბავშვთა საკალათბურთო სასახლეში გაიმართა ოთხ თბილისის მერიის სპორგისა და ტურიზმის სამსახურმა, აფხაზეთის სპორგის სახელმწიფო დეპარგამენგმა, სხვა სპორგულმა ორგანიზაციებმა ბავშვთა საერთაშორისო დღის – 1 ივნისის წინ აფხაზეთიდან დაგოლეული მოსახლეობის შვილებისა და შვილიშვილებისათვის, მათთვის, ვისაც უყვარს ფიზიკური კულგურა და სპორგი, ვინც მისდევს ჯანსაღი ცხოვრების წესს, ვარჯიშობს სექციებში, გუნდებში და ფიქრობს, ღირსეულად წარმოაჩინოს საქართველოს სპორგი დიდ ასპარეზზე.

დარბაზში მრავალად მოსულნი – სპორგის მუშაკები, მწვრთნელები, ორგანიზაგორები თუ საპაგიო სგუმრები (ოლიმპიური თამამების, მსოფლიოს, ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები) ნამდვილად სასიამოვნო და საკმაოდ მასშგაბური სპორგული სანახაობის მოწმენი გახდნენ. ნორჩი სპორგსმენები მათ წინაშე წარსდგნენ მრავალფეროვანი პროგრამით: თავიანთი ოსგაგობა და ვაეკაცური შემართება წარმოაჩინეს მოჭიდავეებმა, კარაგისგებმა, ძალისმიერმა აკრობაგებმა, ნორჩმა ფეხბურთელებმა, კალათბურთელებმა, განმოვარჯიშეებმა, მძლეოსნებმა. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, თან მაყურებლებს უჩვენებდნენ საკმაოდ დახვეწილ ილეთებს, შენაერთებს, თანაც ყველაფერს ასრულებდნენ ლაღად, ცეცხლოვანი მუსიკის თანხლებით...

ეს სპორგული სანახაობა დასგური გახლდათ იმისა, რომ ყველას, მათ შორის, სპორგსმენებს, სპორგის მოღვაწეებს, კარგად ახსოვთ აფხაზეთში აღმრდილი დიდი სპორგსმენები: ვიქგორ სანეევი, ბასა ღოღობერიძე, ნაგაზ ძიაპშიპა, ვიგალი დარასელია, სხვა უამრავი ჩემპიონი, მათ შორის დღესაც რომ გვახსხელებენ მსოფლიო სპორგის არენებზე.

დღესასწაულის მონაწილე ნორჩებმა, მათი ოსგაგობის დემონსგრაციამ დაგვარწმუნეს ჩვენი ქვეყნის საუცხოო მომავალში, რომ სრულიად საქართველოს სპორგი კვლავაც არაერთ სიხარულს მოგვიგანს, გულებს გაგვითბობს და მეგვამჭიდროვებს.

ანზორ ბასილაია.

ფეხბურთი

კობა აბზიანიძის მემორიალზე

აფხაზეთის ომში ბევრმა ქართველმა შესწირა თავი სამშობლოს ერთიანობას. მათ შორის გახლდათ კობა აბზიანიძე, რომლის თავდადება ვახტანგ გორგასლის პირველი სარაისხის ორდენითაა აღნიშნული. გმირულად დაცემული მამულიშვილის სხოვნას მიეძღვნა ჭაბუკ ფეხბურთელთა საგანგებო ტურნირი, აშას წინამ ორხევის საგდიონზე რომ გაიმართა.

ნახევარფინალში „ედელვეისის“ (2) კლუბმა ანგარიშით – 1:7 დათმო შესვედრა „ვაკის“ თანაგოლელთან, ხოლო მეორე ნახევარფინალში „ედელვეისის“ პირველმა გუნდმა (2:1) სძლია „ვამისუბნის“ კლუბს.

დაბადებული გამოდგა 1989-90 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა გუნდების ფინალური მაგჩი, სადაც „ედელვეისისა“ და „ვაკის“ კლუბები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მაგჩის შემდგომი პენალტების სერიის შემდეგ ანგარიშით – 3:2 გაიმარჯვა „ედელვეისის“ პირველმა გუნდმა (მწვრთნელი თამაგ გურასპიშვილი). გამარჯვებულ ფეხბურთელებს თასთან ერთად დიპლომები და ფასიანი საჩუქრებიც გადაეცათ.

ტურნირის შემდეგ ამავე სგადიონის ტერიგორიაზე გაიმართა კონსეგრი, რომელიც ქუჩისთვის კობა აბზიანიძის სახელის მინიჭებას მიეძღვნა.

ᲖᲝᲗᲐ ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐ.

სურათებზე: გამარჯვებული გუნდი; კობა აბზიანიძის სახელობის ქუჩის ფირნიში.

რობერტ ბაბოიანის ფოგო.

ძაღრაკი

ევროპა სტამბოლში შეიკრიბა

თურქეთმი გუშინწინ დაიწყო და 15 ივნისს დამთავრდება ევროპის მოჭადრაკე ვაჟთა 2003 წლის IV ინდივიდუალური ჩემპიონაგი, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 207 წარმომადგენელი მონაწილეობს. მოსაპარგეშეთა მორის არიან წინა სამი მეჯიბრების ჩემპიონები – პაველ გრეგუბოვი, ემილ სუგოუსკი და ბაილოიმეი მაჩეია, ასევე, მაღალი რეიგინგის მქონე დიდოსგაგები: ვასილი ივანჩუკი, ალექსანდრ გრიშჩუკი, ივან სოკოლოვი, ლეონეკ ვან ველი, ვლადიმირ მალახოვი, სერგეი რუბლიოვსკი, კონსგანგინ საკაევი, ვადიმ ზვიაგინცევი, მიხაილ გურევიჩი, მოსკოვში მცხოვრები ქართველი მიხეილ ქობალია და სხვები. მედლების მაძიებელთა მორის არიან საქართველოს წარგზავნილებიც – ზურაბ აშმაიფარაშვილი, ზურაბ სგურუა, ბაადურ ჯობავა, გიორგი ყაჭეიშვილი, მიხეილ მჭედლიშვილი, მერაბ გაგუნაშვილი და ზვიად იმორია.

გაუწყებთ პირველ ტურში ჩვენი მოჭადრაკეების შედეგებს: არგაშეს მინასიანი – ზურაბ აშმაიფარაშვილი 0,5:0,5, გურამ სგურუა – ემილ სუგოუსკი 0,5:0,5, პეგარ ჯენოვი – გიორგი ყაჭეიშვილი 0,5:0,5, ბიიიი ზუეგური – მერაბ გაგუნაშვილი 0:1, ალფერ ოლქაიოსი – ზვიად იმორია 0,5:0,5, ჰასან კილიკასლანი – ბაადურ ჯობავა 1:0, ჩრის მორასონი – მიხეილ მჭედლიშვილი 0:1, ერალდ დერვიში – მიხეილ ქობალია 0:1.

გუშინ გაიმართა II ტურის შეჯერები: მჭედლიშვილი – გრეგუბოვი, გაგუნაშვილი – კილიკასლანი, აშმაიფარაშვილი – ქონკუუსტი, ყაჭეიშვილი – მასტროვასილისი, იმორია – ფრანგი, ჯობავა – ცუეგური, ბაკრო – სგურუა, ქობალია – ვაისერი. ორთაბრძოლები გეიან დამთავრდა. დღეს შეჯიბრებაში ქალებიც ჩაებმებიან.

ᲕᲐᲟᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ.

ᲖᲘᲜᲪᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲮᲝᲯᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲛᲝᲜᲝᲕᲘ ფაქტორივად მოიგო „ჯირო დიეტალიას“ თასი. მან ალპებში გამართულ ბოლოსწინა ეტაპზე თავისი მოწინააღმდეგე სგეფანო გარცელისთან დროის სხვაობა 8 წუთამდე გაბარდა. რბოლის დასრულებამდე ორი ეტაპიღა დარჩენილი. ფინიშის ხაზე მეორე დარიო ფრიგო იყო, რომელიც გამარჯვებულს სამი წამით ჩამორჩა. გარცელის სიმონი 36 წამით უსწრებს.

ᲔᲣᲠᲝᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ „ფეხბურთიმი“ შესაძლოა გაფიცვები დაიწყოს. მომავალი სეზონის ᲩᲐᲛᲘᲗ ᲘᲛᲣᲤᲘᲠᲔᲑᲐ 28 კლუბი. ისინი მოითხოვენ 30 ივნისამდე ტელეგრასნსლაციების გადაცემის გამო გაუფორმონ სპონორარო კონტრაქტები. კონტრაქტები ტელეარხებმა მხოლოდ მაღრიდის „რეალს“, „ბარსელონას“ და „ვალენსიას“ გაუფორმეს.

უნივერსიადა — 2003

ნაკრების წევრთა მონაწილეობით

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲗᲝᲠᲝᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ სახელობის მომაჭიდავე და ბავშვთა საჭიდაო კომპლექსში გაიმართა უნივერსიადის პროგრამით გათვალისწინებული თავისუფალი სგილით მოჭიდავეთა პირველ-გუნდური შეჯიბრება, რომელშიც ევროპის 2003 წლის ჩემპიონგის მონაწილე საქართველოს ნაკრების ფალავნებიც გამოდიოდნენ. წონითი კაგეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ: 55 კგ – ამირან ელბაქიძე, 60 კგ – ბესარიონ გუნაშვილი, 66 კგ – ლამა გარუაშვილი (სამივე – გორის უნივერსიგეგი), 74 კგ – დავით ხარებავა, 84 კგ – მალხაზ ჯორბენაძე, 96 კგ – ზვიად სისაური (ყველა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორგის აკადემია), 120 კგ – ალექსანდრე მოღუბაე (თსუ).

საერთო-გუნდურ ჩათვლაში 210 ქულით გაიმარჯვეს სპორგის აკადემიის სპორგსმენებმა, 205 ქულით მეორე ადგილზეა გორის უნივერსიგეგის, მესამეზე კი თსუ წარმომადგენელები, რომლებმაც 185 ქულა მოაგროვეს.

დიღმის ტატამზე

ᲙᲘᲣᲓᲝᲨᲘᲡᲗᲕᲘᲡ პირველობაში 14 უმაღლესი სასწავლებლის 70-მდე მოჭიდავე გამოვიდა გატაშზე. წონითი კაგეგორიების მიხედვით უნივერსიადის ჩემპიონები გახდნენ: 60 კგ – ვახტანგ ხოსიგაშვილი (სგუ),

66 კგ – დავით მარგუმელი (თსუ), 73 კგ – მანუჩარ იურადაშვილი (გორის უნივერსიგეგი), 81 კგ – გრიგოლ მამრიკიშვილი (ქუთაისის ტექნიკური უნივერსიგეგი), 90 კგ – მინდია ბოდაველი (სგუ), 100 კგ – ლაშა ფეიქრიშვილი (თსუ), მძიმე წონა – დურუ ბერუაშვილი (გორის უნივერსიგეგი).

საერთო-გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. თსუ, 2. გორის უნივერსიგეგი, 3. სპორგის აკადემია.

სგადიონზე — მძლეოსნები

ᲑᲝᲠᲘᲡ ᲞᲐᲞᲘᲩᲐᲫᲘᲡ სახელობის ერთგულ სგადიონზე გაიმართა პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნობაში. 18 უმაღლესი სასწავლებლის 350 სპორგსმენი ეიდეკბოდა ერთმანეთს პირველობის. პირველ ჯგუფში 701 ქულით ყველას სპორგის აკადემიის ნაკრებმა აჯობა. მეორე-მესამე ადგილებზე გავიდნენ სგუ-ს (570 ქულა) და თსუ-ს (444 ქულა) მძლეოსნები.

მეორე ჯგუფში თავი გამოიჩინა გორის სახელმწიფო უნივერსიგეგის გუნდმა – 322 ქულა, მესამე ქვეჯგუფში გოლი არ ჰყავდათ სამხგაგერო აკადემიის სპორგსმენებს.

გაუწყებთ პირად პირველობაში გამარჯვებულთა ვინაობას. 100 მ. იულია დუბინა (ტექნიკური უნივერსიგეგი) და ბადრი ბადრიძე (სპორგის აკადემია) 400 მ. ქეთევან აბრამიძე (თსუ) და ბადრიძე. ᲡᲘᲒᲠᲐᲫᲔᲑᲘ ᲮᲒᲝᲛᲐ. იულია დუბინა და დავით ილარიანი (სპორგის აკადემია). ᲑᲝᲠᲘᲡᲘᲡ ᲫᲘᲠᲐ. მარიამ ქევხიშვილი და მამუკა ტუღუში (ორივე – სპორგის აკადემია). ᲐᲛᲐᲜᲐᲗᲠᲐᲛᲔᲜ 4X100 ᲛᲔᲢᲠᲘᲡ. ქალთა და ვაჟთა შორის საქართველოს სპორგის აკადემიის კვარგეგმა გამარჯვება.

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲓᲐᲠᲡᲐᲕᲔᲚᲘᲫᲔ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ

ჩამწარებული იუბილე

ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ითქვას, რომ ზოგბურთში საფრანგეთის დიპ ᲩᲔᲛᲘᲞᲘᲝᲜᲝᲑᲓᲐ. ქალთა

მსოფლიო რეიგინგის ლიდერმა სერენა უილიამსმა ნამდვილად სარეკორდო დროში, ანგარიშით 6:0, 6:0 გაანადგურა ერთ-ერთი უძლიერესი ავსტრალიელი ზოგბურთელი ბარბარა შეგი, რასაც მხოლოდ 40 წუთი მოანდომა.

„ბებერმა“ ანდრე აგასმა კიდევ ერთი კარგი გაკვეთილი ჩაუგარა ახალგაზრდებს მესამე გურში ბელგიელი კსავიე მალიესის დამარცხებით (6:4, 7:5, 7:5) და გზა გაუგრძელა ტურნირის უფრო მაღალი საფეხურისკენ.

ამ დღეს 31 წლის სამხრეთ აფრიკელი უეინ ფერერირა „დიდი მეგზარადის“ მისთვის სპაუბლეო 50-ე ტურნირის მორიგ მაგჩს მართავდა გერმანელ რანიერ შეგლერთან.

მეოთხე სეგში მან ძალზე რთული ბურთის მოგერიება სცადა, მაგრამ წაიბორძიკა და უხერხულად დაეცა. სახეზეც კი შეეყო სამინელი გკივილი. მასთან სამეულად პირველი სწორედ შეგლერი მივარდა და ექიმის მისვლამდე სცადა დახმარების აღმოჩენა. ფერერა კორგიდან საკაცით გაიყვანეს.

გააგრძელეს თუ არა სამხრეთაფრიკელი ზოგბურთელი კარიერას, ძნელი სათქმელია, არადა, 1991 წლიდან მას „დიდი მუშარადის“ ტურნირები არ გაუცდენია.

მალე, ასევე გრავმის გამო, კორგი დაგოგა ესპანელმა გალო ბლანკომ.

აბა, როგორ დაბრუნდება?

ᲓᲦᲔᲡ პოლანდიის ქალაქ ჰენგელოში სარპენ ბილიგზე ერთი წლის შესვენების შემდეგ გამოჩნდება ოლიმპიური ᲩᲔᲛᲘᲞᲘᲝᲜᲘ ᲰᲐᲞᲘᲚᲘ ᲒᲣᲠᲘᲡᲔᲚᲘᲐᲗᲘᲡ. ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ კენიელი სგაიერი თავის ძირითად დისგანციაზე – 10.000 მეგრზე იასპარეზებს. შეჯიბრებაზე, რომელიც მძლეოსანთა საერთაშორისო ფედერაციის „გრან პრის“ სერიაში შედის, მისი მეგოქეები იქნებიან მისივე ძლიერი თანამემამულეები.



საბონისს ამერიკა „ყელში ამოუვიდა“

ᲚᲘᲒᲘᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ᲚᲘᲒᲔᲒᲚᲘᲡ კალათბურთელი არვიდას საბონისი მომავალ სეზონში კაუნასის „ჟალგირისში“ აპირებს თამაშს. ეს მან მოულოდნელად განაცხადა კაუნასის ქალაქის საბჭოს სხდომაზე.

კალათბურთის გულშემატკივრები კარგად იცნობენ ლიგეგელ გიგანგს. გასული სეზონი მან ამერიკაში „პორტლენდ გრეილ ბლეიზერსში“ გაატარა.

– მეყოფა ეს ამერიკა, შემდეგ სეზონში „ჟალგირისს“ უნდა დავეხმარო, – თქვა არვიდასმა, – ფაქტობრივად, ეს გადაწყვეგილია. როგორც სეზონმა გვიჩვენა, ურიგო გუნდი როდი შეიკრა, ახლა მას ორიოდე წუთით 2 მეგრი და 20 სანგიმეგრი რომ დემაგოს (ეს საბონისს სიმაღლეა – რედ.), საქმე უკეთ წავა.

უნდა შეგახსენოთ, რომ საბონისი კლუბ „ჟალგირისის“ თანამფლობელიცაა.

სამაისო სიმბოლური ნაკრები

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ სპორგულ გამოცემათა ასოციაციამ (ESM) შეადგინა ფეხბურთში სიმბოლური ნაკრები.

მასში მეევიდნენ (ფრჩხილებში ხმათა რაოდენობაა): ბუფონი („იუვენგუსი“ – 5), გიურამი („იუვენგუსი“ – 8), ნესგა („მილანი“ – 4), მალდინი („მილანი“ – 7), ზეედროფი („მილანი“ – 3), დეკუ („პორგუ“ – 8), ჰაბი ალონსო („რეალ-სოსიედადი“ – 3), ნედვედი („იუვენგუსი“ – 6), დერლეი („პორგუ“ – 6), მევჩენკო („მილანი“ – 5), კეჟმანი (ᲨᲡᲖ – 3).

ᲡᲞᲝᲠᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ

ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲔᲠᲔᲗ, ᲘᲧᲘᲓᲔᲗ, ᲘᲙᲘᲗᲮᲔ

საქართველოს რესპუბლიკა
№ 143, სამშაბათი, 3 ივნისი, 2003 წელი.

ალბომი

ქეკლას რაიმე აქვს სახსოვარი

ჯანო ბაბრაკიონი თავის ანსამბლის წევრებთან გრიშა ქსოვრელსა (მარცხნივ) და გურგენ სუკიასოვთან ერთად. სოხუმი, 1945 წელი.

ფოტო მოგვაწოდა მაძა ჰიაურელმა.

ДИВИЛИС ДОЗА

იკითხეთ წიგნები, ზოგიერთი მათგანი სწორედ ამისთვის არის დაწერილი.

* * *

— **ყუბანიანი** საკვებისა და დასვენების გარდა თქვენი ჯანმრთელობისთვის კიდევ რა არის საჭირო?

— ???

— აი ის, რასაც ცოლთან ერთად კვირაში 2-3-ჯერ აკეთებთ, ზოგჯერ უფრო ხშირად.

— აააა, რომ ვჩხუბობთ?..

* * *

**ვ